ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 18 ივნისი, 2020 №131 (8395) ფასი: 60 თეთრი

გიორგი გაბუნია 18 ივნისს, 10 საათზე, სუსში დაიბარეს

„შეიძლება, მოსამართლის თანდასწრებით გამოკითხვა მოვითხოვო“

გვ.5

გია ხუხაშვილი: „ხელისუფლებამ კადიროვის დაკითხვა უნდა მოითხოვოს“

„ჩვენს ხელისუფლებას ჰგონია, რომ თუ დათვს მოეფერება, აღარ შეჭამს, სინამდვილეში, უკეთესად შეახრამუნებს“

გვ.3

ეს არის კლასიკური ტერაქტი, რომელსაც შეიძლებოდა, ქვეყანაში გამოეწვია სერიოზული კრიზისი. შესაბამისად, ეს არის პოლიტიკური საკითხი და ასეც უნდა იყოს კვალიფიცირებული, მით უმეტეს, საუბარია საერთაშორისო ტერორიზმზე. დაკავებული პირი არის რუსეთის მოქალაქე, ჩეჩენია და, მაღალი ალბათობით, „კადიროველია“.

„დღეს ივანიშვილი გაცილებით უარეს დღეშია, ვიდრე სააკაშვილი იყო 2012 წელს“

„ქართულ ოცნებაში“ მართლა ჰგონიათ, რომ ხალხი ამათკენ არის?! სულ ტყუილად. საპრეზიდენტო არჩევნებზე როგორ გაუჭირდათ და მაშინ კოალიციის ნასახი მაინც იყო დარჩენილი. ახლა ვინღა ჰყავთ? არავინ! ყველა შემოეცალათ.

ლადო სადღობელაშვილი: „ოცნებას“ არჩევნების გადადება აწყობს“

გვ.3

„20 ივნისი პოლიტიკურ თარიღად არ უნდა გადაიქცეს“

გვ.4

ლაშა ჩხარტიშვილი:

„ირაკლი კობახიძემ ნაციონალები საკუთარ პარტიაში დაითვალოს. არ გაუჭირდება, შეიძლება, 200-ზე მეტიც იყოს“

ცხინვალი თბილისსა და ევროკავშირს ახალ პრეტენზიებს უყენებს

გვ.4

ISSN 1987-9385

5 ნუგზარ კახიძის მკვლელობიდან ვარკეთილის ბაზრობის ხანძრამდე

6 გერმანიაში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის 168 მოხალისეზე გამოცდა იწყება

5 4 წლის გოგონას მიმართ გარყვნილი ქმედებისა და ცივი იარაღის ტარებისთვის ა.ლ.-ს 17 წელი მიესაჯა

6 პრეზიდენტმა ტრამპმა პოლიციის რეფორმას ხელი მოაწერა

გიგა ბოკერია: „საოცარი დღეა, უკვე მეორე რამეში უნდა დავეთანხმო ბატონ გახარიას“

– ვეთანხმები გახარიას, რომ პოლიტიკურად პასუხს აგებენ არჩევნებზე. ეგ სრული სიმართლეა, დანარჩენი არის უტიფარი ბოდვა, – ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ განაცხადა, რითაც გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრის განცხადებას იმის შესახებ, რომ „ხელისუფლება იყო ვალდებული, 20 ივნისის ღამეს პარლამენტის შტურმით აღება არ დაეშვა და პოლიტიკური პასუხი ოქტომბერში იქნება“.

ბოკერიას განცხადებით, ხელისუფლება „უტიფარ პროპაგანდას“ აგრძელებს.

– რაზე იყვნენ ვალდებულები, რომ გავრილოვი ჩამოეყვანათ საქართველოში და პარლამენტის თავმჯდომარის სკამზე დაესვათ? ვალდებული იყვნენ, არ შემოეშვათ საქართველოში. რატომ იყვნენ ვალდებული, რომ სპეცრაზმი გამოეყვანათ შენობის გარეთ და ინციდენტების რისკები გაეზარდათ გაბრაზებულ მომიტინგეებთან? რა შტურმზეა ლაპარაკი, ყველამ ვიცით, რაც მოხდა.

იყო პატარა ნაწილი გაბრაზებული მომიტინგეების, რომელთა ქმედებებს ჩვენ არ ვამართლებთ, მაგრამ 99% აქციის იყო მთლიანად მშვიდობიანი. სპეცრაზმი რატომ გამოიყვანეს ღობის გარეთ? იმ ღობიდან ვერავინ შევიდოდა იქ და, რომც შესულიყო, იქ დაეკავებინათ მერე. რა სისულელეა, ეს არის უტიფარი ბოდვა.

ძალიან ცუდია ქვეყნისთვის, რომ ამდენი ხნის შემდეგ, როდესაც ახალგაზრდებმა თვალი დაკარგეს, როცა კობახიძე გადადგა და ვითომ მოინანიეს, როცა ხალხის გაბრაზება დაინახეს და ახლა, როცა ჰგონიათ, რომ ეს ბრაზი გაქრა და მაგრად ცდებიან, ამ უტიფარ პროპაგანდას აგრძელებენ, – განაცხადა ბოკერიამ.

რაც შეეხება კითხვას, მიიღებს თუ არა „ევროპული საქართველო“ 20 ივნისს დაგეგმილ აქციაში მონაწილეობას, ბოკერიამ განაცხადა, რომ პარტია შეუერთდება აქციას.

– 20 ივნისს არაფერია დაგეგმილი, გარდა მშვიდობიანი საპროტესტო აქციისა, რომელსაც აქტივისტები მართავენ და ჩვენ შევუერთდებით აუცილებლად, – აღნიშნა ბოკერიამ.

ის ასევე გამოეხმაურა პრემიერის განცხადებას იმის შესახებ, რომ „მომავალი პარლამენტი იქნება უფრო კვალიფიციური და საქმიანი“ და აღნიშნა, რომ „შემდეგი პარლამენტი იქნება ბევრად უკეთესი, ვიდრე ახლანდელი იმიტომ, რომ ივანიშვილის გუნდი დამარცხდება“.

– რაღაც საოცარი დღეა, უკვე მეორე რამეში უნდა დავეთანხმო ბატონ გახარიას. შემდეგი პარლამენტი იქნება ბევრად უკეთესი, ვიდრე ახლანდელი, იმიტომ, რომ ივანიშვილის გუნდი დამარცხდება და ის იქნება უმცირესობაში. დემოკრატიულ კოალიციაში ის ძალები, რომელთაც აქვთ მყარი შეხედულებები სამოქალაქო თავისუფლებებზე, პატარა მთავრობაზე, საგადასახადო წნეხის შემცირებაზე და ხალხისთვის მეტი დოვლათის დატოვებაზე, ის ძალები, როგორიცაა „ევროპული საქართველო“ და ჩვენი სხვა მოკავშირეები, იქნებიან უმრავლესობაში და უკეთესი პარლამენტი იქნება ნამდვილად, – განაცხადა ბოკერიამ.

ხელისუფლება 20 ივნისს კონტრაქციას არ აპირებს

– შემიძლია, სრული პასუხისმგებლობითა და გარანტიით ვთქვა, რომ ეს არის მოგონილი „ფეიკნიუსი“, მოდელირებული ამბავი.

ასე უპასუხა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ჟურნალისტების კითხვას, გეგმავს თუ არა მმართველი გუნდი 20 ივნისს კონტრაქციას.

მდინარაძემ მედიასაშუალებებს მოუწოდა, დაინტერესდნენ, „რატომ მოიგონეს გარკვეულმა ტელევიზიებმა ეს ამბავი“.

– მივმართავ ყველა მედიასაშუალებას, თუ ვინმეს ამ ქვეყანაში პრეტენზია აქვს ობიექტურობაზე, კარგად დაინტერესდეს, რატომ მოიგონა ერთმა თუ ორმა ტელევიზიამ ეს ამბავი იმისთვის, რომ ან, ვთქვათ, გაებრაზებინათ მოქალაქეები, რომ ამის გამო მოვიდნენ ნაციონალური მოძრაობისა და ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის მიერ დაგეგმილ აქციაზე, ან დააპირისპირონ საზოგადოება, ან მერე თქვან, რომ აი, ჩვენ რომ ვთქვით, შეეშინდათ და აღარ გააკეთეს კონტრაქციაო. ბევრი ვერსია შეიძლება იყოს, – განაცხადა მდინარაძემ.

„ირაო“ ზარალს მხოლოდ ვარკეთილის ბაზრობის მოიჯარეებს აუნაზღაურებს

დაზარალებულებს თანხა ეცოტავებათ

ვარკეთილის დამწვარი ბაზრის ადმინისტრაციას ზარალს არც სადაზღვევო კომპანია აუნაზღაურებს და კომპენსაციას არც მთავრობა ჰპირდება.

მათ დამწვარი სავაჭრო სივრცის განახლება თავად მოუწევთ. შპს „ვარკეთილი 96“ დაზღვევით სარგებლობის თანხას იხდიდა, თუმცა ირკვევა, რომ მხოლოდ მესამე პირზე და „ირაოც“ ზარალს მხოლოდ მოიჯარეებს აუნაზღაურებს.

დაზარალებულების უმრავლესობა ამბობს, რომ საბუთები დაეწვათ და სადაზღვევო კომპანიისგან შეთავაზებული თანხა კვადრატულ მეტრზე ძალიან მწირია.

მოვაჭრეები გუშინ, 17 ივნისს, დილიდან ისევ დამწვარ ბაზრობასთან შეიკრიბნენ, სადაც ტერიტორიაზე შეშვების მოთხოვნით სიტუაცია რამდენიმეჯერ დაიძაბა.

თბილისის მერი კახა კალაძე ადგილზე არ მისულა, თუმცა დედაქალაქის მთავრობის სხდომა ამ თემაზე საუბრით დაიწყო. დაზარალებულებთან მოგვიანებით თბილისის მერის მოადგილე მივიდა და მხარეებს შორის მოლაპარაკებების ორგანიზების პასუხისმგებლობა აიღო.

შეხვედრა, რომელსაც დაზარალებულები ორი დღის განმავლობაში ითხოვდნენ, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობაში გუშინ დღის ბოლოს შედგა.

მოლაპარაკებებს მერის მოადგილე, გამგებელი, ბაზრის ადმინისტრაცია და მოვაჭრეების საინიციატივო ჯგუფი ესწრებოდნენ. მოიჯარეებს ინტერესებს ანა დოლიძის „მოძრაობა ხალხისთვის“ იურისტები იცავდნენ.

შეხვედრა საკმაოდ მალე დასრულდა, გამგეობიდან გამოსული მოვაჭრეების მოთხოვნებს კი კიდევ ერთი დაემატა.

ვარკეთილის შერეული ბაზრობის ტერიტორიაზე ხანძარი სამი დღის წინ, გვიან ღამით გაჩნდა. დაიწვა 4000 კვადრატი, დაზარალდა ასობით მოვაჭრე.

ხანძრის გამომწვევი მიზეზების დასადგენად ტერიტორიაზე საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს, პარალელურად დაიწყო ზარალის დათვლაც.

სალომე ზურაბიშვილი: „კადიროვის განცხადებებზე კომენტარებს არ გავაკეთებ“

კადიროვის განცხადებებზე ნამდვილად არ გავაკეთებ კომენტარებს. პირველ რიგში, მადლიერი ვარ იმისთვის, რაც გაკეთდა, ჟურნალისტის უსაფრთხოება იქნა დაცული.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გიორგი გაბუნიასთან დაკავშირებით რამზან კადიროვის განცხადებებზე შეკითხვის საპასუხოდ აღნიშნა.

– პირველ რიგში, მადლიერი ვარ იმისთვის, რაც გაკეთდა, ჟურნალისტის უსაფრთხოება იქნა დაცული და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის და იმისთვის, რომ ჩვენ შევინარჩუნოთ სტაბილურობა. დანარჩენი არის გამოძიების საქმე და, ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი სათანადოდ იქნება გამოძიებული.

მე ვარ ქვეყნის პრეზიდენტი, არანაირი უფლება არ მაქვს დავადანაშაულო სხვა ქვეყანა, სანამ არ გვეცოდინება გამოძიების დასკვნით, რა მოხდა და როგორ მოხდა, აქ რომ ძალიან ბევრი საეჭვო კითხვაა, ამაში ყველა ვთანხმდებით, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ჩეჩნეთის ლიდერმა რამზან კადიროვმა სულელური უწოდა განცხადებას იმის შესახებ, რომ მისი დაკვეთით თავს უნდა დასხმოდნენ ქართველ ჟურნალისტს.

„გიორგი გაბუნიამ, როგორც ადრე ვამბობდი, ჯობს დაიჩოქოს და ბოდიში მოიხადოს მომხდარისთვის. მან შეურაცხყო არა ერთი ადამიანი, არამედ ყველა რუსი. მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, მიიღონ ზომები, რომელიც ხელს შეუწყობს ამ მოქალაქის ხელახალ აღზრდას“, – დაწერა კადიროვმა სოციალურ ქსელ „ტელეგრამში“.

„ბანკები ისევ ძარცვავენ ადამიანებს“

– ბანკებიც ისევ ძარცვავენ ადამიანებს, აწერენ ჯარიმებს, არიცხავენ პროცენტებს, ანუ ისევ არ ითვალისწინებენ პრემიერ გახარიას განცხადებებს, რომელიც ორჯერ ითქვა პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან და არც არავინაა უფლებამოსილი, რომ ჩაერიოს.

ამის შესახებ პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერმა დავით ჭიჭინაძემ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.

მან ასევე ისაუბრა სოციალურ დახმარებებზე და განაცხადა, რომ რვასულიან ოჯახს პანდემიის დროს დახმარების ნაცვლად 50 ლარით ნაკლები ჩაურიცხეს.

– რვასულიან ოჯახს პანდემიის დროს დახმარების ნაცვლად 50 ლარით ნაკლები ჩაურიცხეს, სოციალურად დაუცველს კი – 100 ლარის ნაცვლად 70 ლარი. არგუმენტი იყო – შვილი არ გყავს და არ გეკუთვნისო. არადა, გარდა იმისა, რომ ბიუჯეტში მილიონებია ამ მიმართულებით გაწერილი, პრემიერის მიერ წარმოდგენილ პროგრამაშიც არაფერი იყო ნათქვამი მსგავს გრადაციაზე.

ასევე, 450 მილიონია გამოყოფილი, 6 თვის განმავლობაში, 200-ლარიან დახმარებაზე, ხოლო 75 მილიონი – 300-ლარიან დახმარებაზე თვითდასაქმებულთათვის, ანუ ჯამში გამოდის 625 ათასი ადამიანი, რომელმაც უნდა მიიღოს დახმარება. რატომ გამოიყო ეს თანხა?! თუ „ქართული ოცნების“ მთავრობის გათვლით 625 ათასი ადამიანი დაკარგავდა შემოსავალს, ეკონომიკაში ვინ დარჩებოდა დასაქმებული, გარდა სახელმწიფო მოხელეებისა, ვიღას ექნებოდა შემოსავალი?

როდესაც პრემიერ-მინისტრი აკეთებს განცხადებას, რომ 625 ათასი ადამიანი ავტომატურად იღებს სესხების სამი თვით გადავადების უფლებას, კაპიტალიზაციის გარეშე, ეს როგორ უნდა აისახოს ბალანსზე, ეროვნულმა ბანკმა დათვალა საერთოდ, თუ ისევ მხოლოდ პოპულისტური განცხადებებია?! ბანკებიც ისევ ძარცვავენ ადამიანებს, აწერენ ჯარიმებს, არიცხავენ პროცენტებს, ანუ ისევ არ ითვალისწინებენ პრემიერ გახარიას განცხადებებს, რომელიც ორჯერ ითქვა პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან და არც არავინაა უფლებამოსილი, რომ ჩაერიოს, – განაცხადა დავით ჭიჭინაძემ.

„ბიუჯეტი უკვე დღესვე მკვდარია“

– ბიუჯეტი შემოიტანეთ და ეს ბიუჯეტი უკვე დღესვე არის მკვდარი.

ასე მიმართა ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძემ ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძეს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე, სადაც მინისტრის მოადგილემ მთავრობის ანტიკრიზისული ბიუჯეტი წარადგინა.

რომან გოცირიძის თქმით, ანტიკრიზისული ბიუჯეტი ტყუილების ერთობაა.

– ბიუჯეტი შემოიტანეთ და ეს ბიუჯეტი უკვე დღესვე არის მკვდარი. ფაქტობრივად, ეს ბიუჯეტი იმ დაპირებებს არ შეესაბამება, რაც ანტიკრიზისული გეგმის სახით პრემიერ-მინისტრმა წარმოგვიდგინა. აღმოჩნდა, რომ ანტიკრიზისული გეგმა არის ტყუილების ერთობა. პირველი დიდი სიცრუე, ამბობდით, რომ 350.000 ადამიანს გაუწევდით პირდაპირ ფინანსურ დახმარებას, დღეს მხოლოდ 90.000-ია აღრიცხული. დავუშვათ და ვთქვათ, დასტურებთ თუ არა, რომ უკვე 250 მილიონი ლარით გაირღვა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი?

თვითდასაქმებულების ნაწილში განცხადება 136.000-მა ადამიანმა გააკეთა და კომისიით 66.000-ია სულ დადასტურებული, ანუ ჯამში 600 მილიონ ლარს თუ ფიქრობდით პირდაპირი დახმარების სახით, დღეს თქვენი ფულადი დახმარება 100 მილიონ დოლარზეც კი ვერ გადის. წარმოუდგენელი რამეა, ისესხო 1.5 მილიარდი დოლარი, 560 მილიონი ლარი გრანტების სახით მიიღო და 100 მილიონი დოლარის ფულადი თანხა გასცე დახმარების სახით, მაშინ როდესაც ქვეყანა ჩაკეტილი იყო და ხალხი შიმშილით კვდებოდა. ხომ ტყუილი იყო თქვენი გეგმის ეს მონახაზი?

მეორე ტყუილი, სადაა დიზელის საწვავის სუბსიდირება? რატომაა 133 მილიონი კოვიდ ფონდი ხელუხლებელი, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილის ფული დევს იქ 100 მილიონი, რატომ არ გახარჯვინებთ, იქნებ უკან გატანა უნდა? – განაცხადა გოცირიძემ.

ამასთან, გოცირიძის თქმით, საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი მაისში იმ მიზნით შემცირდა, რომ პრემიერ-მინისტრის განცხადება გამართლებულიყო, რამდენადაც პრემიერის დაპირება იყო, რომ მოქალაქეების დახმარება საარსებო მინიმუმზე მეტი იქნებოდა.

– სტატისტიკის ეროვნული სამსახური ვისგან იღებს დავალებას, რომ საარსებო მინიმუმი პოლიტიკური ნიშნით იყოს ფორმირებული და მოერგოს პრემიერ-მინისტრის განცხადებებს? – მიმართა რომან გოცირიძემ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს.

ღარიბაშვილმა ეროვნული გვარდიის მეთაურად პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე დანიშნა

საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნულ გვარდიას ახალი მეთაური ჰყავს. გუშინ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეროვნული გვარდიის მეთაურის რანგში პოლკოვნიკ რომან ჯოხაძესთან პირველი სამუშაო შეხვედრა გამართა და ახალ თანამდებობაზე დანიშნა მიულოცა.

სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილეები, გენერალ-მაიორები გიორგი მათიაშვილი და ზაზა ჩხაიძე დაესწრნენ, ეროვნულ გვარდიაში მიმდინარე აქტივობებსა და განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

ეროვნული გვარდიის მეთაურად დანიშვნამდე პოლკოვნიკი რომან ჯოხაძე პოლონეთში, უნგრეთში, სლოვაკეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკებში საქართველოს თავდაცვის ატაშე იყო. მას თავდაცვის ძალებში სხვადასხვა დროს მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა, მათ შორის იყო გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, ჟ2 დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი, სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი, თავდაცვის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტში სამხედრო ექსპერტი.

მუშაობდა ასევე, ეროვნულ გვარდიაში ჯერ ბატალიონის, შემდეგ კი საწვრთნელი ცენტრის მეთაურად. პოლკოვნიკ რომან ჯოხაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო მისიებში ერაყსა და ავღანეთში ISAF-ის ოპერაციაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამოქალაქო განათლების მიღების შემდეგ, რომან ჯოხაძემ განათლება სამხედრო მიმართულებით გააგრძელა. დამთავრებული აქვს საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემია, ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტი რუმინეთში, ნატოს თავდაცვის კოლეჯი იტალიაში და აშშ-ის ომის კოლეჯი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გია ხუხაშვილი: „ხელისუფლებამ კადიროვის დაკითხვა უნდა მოითხოვოს“

„ჩვენს ხელისუფლებას ჰგონია, რომ თუ დათვს მოეფერება, აღარ შეჭამს, სინამდვილეში, უკეთესად შეახრამუნებს“

იაგო ნაცვლიშვილი

3 დღეა, რაც ცნობილი გახდა, რომ რამზან კადროვის დაკვეთით „მთავარი არხის“ ტელეწამყვან გიორგი გაბუნიას ლიკვიდაცია იგეგმებოდა. თუმცა ამ დრომდე არ ჩანს სიმკვეთრე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებში, რაც გაოცებას იწვევს, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ისინი გაბუნიას დაგმობაში ერთმანეთს ასწრებდნენ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის გინების გამო.

რატომ ერიდებიან ხელისუფლების წარმომადგენლები მკაფიო გზავნილებს და რა ახსნა აქვს მათ პოლიტიკას? — ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.

– გავიდა გარკვეული დრო, რაც ცნობილი გახდა, რომ იგეგმებოდა გიორგი გაბუნიას ლიკვიდაცია, თუმცა ვერ ვხედავთ მკაფიო გზავნილებს ხელისუფლების მხრიდან. რას ერიდებიან?

– მინიმუმ, საქმე გვაქვს კაპიტულანტურ განწყობებთან, შიშთან. ეს ხდება იმ კონცეფციიდან გამომდინარე, რომელიც დამახასიათებელია ხელისუფლებისთვის, რომ დათვს უნდა ეფერო და, თუ კარგად მოეფერები მას, მოეწონები და აღარ შეგჭამს. ეს არის საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის ანატომია. სინამდვილეში, კარგად გვესმის, რომ ეს აბსურდია. სამწუხაროდ, ძალიან შორის მიდის ეს ყველაფერი და მორიგი კაპიტულაციის აქტია, რომელსაც არ იმჩნევენ.

ამ საქმეს აქვს ორი განზომილება. ერთია წმინდა სისხლისსამართლებრივი. კი ბატონო, აქ მე არ მაქვს პრეტენზიები, იძიონ. რაც უნდათ, თქვან და, რაც არ უნდათ, ნუ იტყვიან, მაგრამ ამ საქმეს, ამასთანავე, აქვს სრულიად აშკარა პოლიტიკის განზომილება, რაც ამ თემაში მთავარია, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ საქმე არ გვაქვს ადამიანის ლიკვიდაციის მომზადების კვალიფიკაციასთან, ჩვენ საქმე გვაქვს ტერორისტულ აქტთან, რომელიც მიზნად არა მხოლოდ ადამიანის ლიკვიდაციას ისახავდა, არამედ, ამასთანავე, მიზნად ისახავდა საზოგადოების დაშინებას ან მისი აგრესიის გამოწვევას შესაბამისი ქმედებებით.

– ამ შემთხვევაში რეალურად საქმე არ გვაქვს სახელმწიფოებრიობასთან? გვაქვს თუ არა სახელმწიფო და იცავს თუ არა სახელმწიფო საკუთარ მოქალაქეებს?

– რა თქმა უნდა. ეს არის კლასიკური ტერაქტი, რომელსაც შეიძლებოდა, ქვეყანაში გამოეწვია სერიოზული კრიზისი. შესაბამისად, ეს არის პოლიტიკური საკითხი და ასეც უნდა იყოს კვალიფიცირებული, მით უმეტეს, საუბარია საერთაშორისო ტერორიზმზე. დაკავებული პირი არის რუსეთის მოქალაქე, ჩეჩენია და, მაღალი ალბათობით, „კადიროველია“. მე არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ ერთ-ერთ ვერსიად ეს უნდა იყოს განხილული. შესაბამისად, რასაც ახლა ჩვენი ხელისუფლება უნდა აკეთებდეს, არის ის, რომ გამოითხოვოს მთელი ინფორმაცია და ამ ვერსიაზეც უნდა იმუშაოს, იმავე მოწმის სახით მაინც უნდა დაკითხოს კადიროვი, ამის მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს და ა.შ. ამ მიმართულებით ხელისუფლება საერთოდ არანაირ ნაბიჯებს არ დგამს, ერთადერთი, თვალის ჩაპაჭუნებით გვეუბნება, მიშას აწყობდა მაგის მოკვლაო.

– იქნებ მუშაობს ხელისუფლება ამ მიმართულებით და არ ახმოვანებს. ამის შესაძლებლობას არ უშვებთ?

– არა, იმიტომ, რომ ეს არის პოლიტიკური თემა. რაც გამოძიების თემაა, შეიძლება, არ ხმოვანდებოდეს, მაგრამ პოლიტიკური მიმართულება, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად საჯარო უნდა იყოს, იმიტომ, რომ ეს არის რეზონანსული საქმე. გამოძიება შეიძლება მიდიოდეს რამდენი ხანიც საჭიროა, მაგრამ თემის აწევა მეორე დღიდანვე უნდა დაწყებულიყო და განცხადებები უნდა გაკეთებულიყო.

– ანუ პოლიტიკური თემები უნდა წამოვიდეს და, შესაძლოა, გამოძიებამ თქვას რაღაც და, რაც გამოძიების ინტერესებთან კავშირშია, ის არ თქვას?

– რა თქმა უნდა. გამოძიებამ თავისი კუთხით იაროს და არავინ სთხოვს მას, რომ მისი მასალები გაგვაცნოს, მაგრამ პოლიტიკური რეზონანსი უნდა ჰქონდეს, იმავე საერთაშორისო ორგანიზაციებში, იმიტომ, რომ მაღალი ინტერესები არსებობს იმ მიმართულებით, რომ ეს ყველაფერი რუსეთს უკავშირდება. შესაბამისად, ეს უნდა იყოს.

– ზელიმხან ხანგოშვილის საქმეზეც გაკეთდა პარალელები. ამ საქმეზე ხელისუფლებამ წაუყრუა და ამის გამოძახილი ესეც ხომ არ არის, რომ კიდევ მეტს ბედავს რუსეთი?

– რა თქმა უნდა. ილუზია აქვს ხელისუფლებას, რომ თუ გაჩუმდება, რუსეთი მოექცევა კარგად. სინამდვილეში, დათვს რაც უფრო გემრიელად მოეფერები, უფრო გემრიელად შეგახრამუნებს. მუდმივი მოსინჯვებია ამ მიმართულებით. ეს არის ამ ხელისუფლების მიმართულება, სადამდე არიან უკანდამხევები და მუდმივად ამ რეჟიმში ჰყავთ. ესენიც გატრუნულები სხედან და იმავეს ამბობენ. რა კომენტარი უნდა გააკეთო ამაზე?

– თუნდაც ასეთი პოლიტიკაც რომ ჰქონდეთ, რამდენად თანმიმდევრულები არიან? მაშინ, როცა გაბუნიამ პუტინს აგინა, ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს ასწრებდნენ გაბუნიას დაგმობაში და, როცა იგეგმება გაბუნიას მკვლელობა, ამაზე მათი რეაქცია, ფაქტობრივად, ნულია.

– თანმიმდევრული არის, მაგრამ თანმიმდევრული, სამწუხაროდ, არასწორი მიმართულებით არის ჩვენი ხელისუფლება. მათ აქვთ ილუზია, რომ იმპერიას როცა დაუწვები, ყველაფერი კარგად იქნება.

– თანმიმდევრულობაში მე სხვა მიმართულება ვიგულისხმე – თუნდაც ოკუპანტის არგაღიზიანების ლოგიკა, მაგრამ არა თავის დახრა და თქვენ იმპერიისთვის დაწოლის პოლიტიკა გაქვთ მხედველობაში?

– არჩევანი არის ასეთი, რომ როდესაც ვიღაცა ვიღაცას უპირებს გაუპატიურებას, ან უნდა გაუძალიანდე, ან თქვა, რომ მაინც არაფერი გამოვა და დანებდე. ხელისუფლების კონცეფცია მეორე სცენარია. წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიონ, თორემ მერე უარეს შედეგს მივიღებთო. დაახლოებით ასე იქცევიან. თავმოყვარე სახელმწიფო ასე არ იქცევა და ამის უამრავი მაგალითი არსებობს. გერმანიაში საქმე აღიძრა მკვლელობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეჭვმიტანილი პირი ხმას არ იღებს და ჩვენებას არ იძლევა, ამიტომ მას პირდაპირ ბრალდება აქვს, არ თანამშრომლობსო. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც საქართველოდან უნდა იყოს მოთხოვნები, მათ შორის საჯარო მოთხოვნები, რომ თუ რუსეთის ხელისუფლება არ ითანამშრომლებს ჩვენს სპეცსამსახურებთან, ეს იქნება იმის ირიბი დადასტურება, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურ აქტთან.

– საკმაოდ უცნაური განცხადება გააკეთა ამ თემაზე ანრი ოხანაშვილმა. ხომ არ არის მცდელობები, რომ ესეც ოპოზიციას გადაჰბრალდეს?

– ნამდვილად არ ვიცი, რა თქვა ოხანაშვილმა. მე მას აღარ ვადევნებ თვალს. ეს გასაგებია, რომ ხელისუფლება ილაპარაკებს მიშაზე და ოპოზიციაზე. ეს არის უპასუხისმგებლობა. ყველა ვერსია განხილვადია. მე კი არ ვამბობ, რომ არ არის განხილვადი. იძიონ, რაც უნდათ, მაგრამ, როდესაც ხელისუფლება ასე იშვერს ხელს თვითონ და იქ, სადაც მეტი საფუძველია, არაფერს ამბობს, ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო?!

„დღეს ივანიშვილი გაცილებით უარეს დღეშია, ვიდრე სააკაშვილი იყო 2012 წელს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.

ლადო სადღობელაშვილი: „ოცნებას“ არჩევნების გადადება აწყობს“

– ლადო, შესაძლებელია, რომ არჩევნები გადაიდოს?

– ხელისუფლება უყურებს, რა რეიტინგი აქვს. გაყალბების შანსი არის მიზერული, ახლა არჩევნები ან უნდა მოიგო, ან გადადო. დროის გაწელვა აწყობთ იმ მხრივ, რომ დრო მოიგონ, ამ დროში რაღაცა ნორმალური გააკეთონ. გარდა ამისა, ღიად და აშკარად ჩანს, რომ გუნდში არის სერიოზული დაპირისპირება. გახარია და კალაძე ერთმანეთს ჭამენ. სერიოზული დაპირისპირებაა და ეს რაღაცნაირად ჟონავს.

– მზიურის გახსნაზე ერთად გამოჩნდნენ. გახარია კალაძის ძაღლს მიეალერსა. ეს ყველაფერი საზოგადოების დასანახად გაკეთდა?

– აბა რას იტყვიან? ერთმანეთს ვჭამთ შიგნითო, იმას იტყვიან?! ეს ხომ პოლიტიკაა. ყველამ იცის, რომ წინა მოწვევის პარლამენტში კალაძეს ჰქონდა საკმაოდ დიდი კვოტა, სვამდა სიაში თავის ძმაკაცებს, ბიზნესმენებს. ახლა ჩააჩოჩეს კალაძე და ამ კვოტაში ჩაუსვეს გახარია.

– ამ ფონზე ვისმენთ დიპლომატების განცხადებებს, გვჯერა, საქართველოში ძალიან დემოკრატიული არჩევნები ჩატარდებაო. ეს დიპლომატიურ ენაზე მინიშნებაა, რომ არ უნდა გააყალბონ?

– დიახ, პირდაპირ ეუბნებიან, გაყალბება არ გაბედოთო. ახლა ზუსტად ის სიტუაციაა, რაც 2011-2012 წლებში იყო, როდესაც სააკაშვილი მიდიოდა და ესენი მოდიოდნენ. მაშინ სააკაშვილს უთხრეს, არ გაბედო გაყალბებაო. რა, სააკაშვილი ვერ გააყალბებდა? მაგის ბიჭი არ იყო, გაყალბების გამოცდილება არ ჰქონდა თუ რა! ახლა ზუსტად იგივე ამბავია, როგორც სააკაშვილს ეუბნებოდნენ, არ გაბედო გაყალბებაო, ისე ამათ ეუბნებიან – არ გაბედო გაყალბება. ეს არის პირდაპირი მესიჯები.

„ქართულ ოცნებაში“ მართლა ჰგონიათ, რომ ხალხი ამათკენ არის?! სულ ტყუილად. საპრეზიდენტო არჩევნებზე როგორ გაუჭირდათ და მაშინ კოალიციის ნასახი მაინც იყო დარჩენილი. ახლა ვინღა ჰყავთ? არავინ! ყველა შემოეცალათ. „ქართული ოცნების“ ყველაზე აქტიურმა ჯგუფმა დატოვა ეს პარტია. დღეს ესენი ეჭიდავებიან 30-35%-ს, ესეც მაქსიმუმ. მათ უწევთ ფიქრი იმაზე, რომ კოალიციაში უნდა შევიდნენ, სავარაუდოდ, ლელოსთან. თუმცა როგორია ლელოსთან კოალიციაში შესვლა?! ბატონი გახარია და ხაზარაძე სერიოზულად არიან დაჯახებული ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, ბიძინამ ან გახარია უნდა დააჩოჩოს და გაუშვას პენსიაზე, ან ხაზარაძესთან ალიანსი გააკეთოს.

ძალიან მძიმე სიტუაციაშია ბატონი ბიძინა. სააკაშვილი არ იყო ასეთ მძიმე სიტუაციაში 2012 წელს, რა მდგომარეობაშიც „ოცნებაა“. იქ ერთიანობა მაინც შეინარჩუნეს ნაცებმა, ესენი კი ვერ ინარჩუნებენ ამ ერთიანობას, იშლებიან უკვე. წარმოგიდგენიათ, ჯერ ოპოზიციაში არ არიან და უკვე დაიწყეს დაშლა. წინ კიდევ რა ელით, ვერც წარმოუდგენიათ. ზოგიერთი პარლამენტარი რომ აღმოაჩენს, რომ „ქართული ოცნების“ სიაში არ არის, აი, მერე ნახეთ ის ნაგვის ნიაღვარი, რაც იქიდან წამოვა. ამათი საქმე რომ წასულია, ცხადია.

– მაშინ გამოდის, რომ არჩევნების გადადებაც არ უშველით და, უბრალოდ, ვადის გახანგრძლივება უნდათ?

– დიახ, არ არის გამორიცხული, რომ ასე იყოს. გადადებენ რამდენიმე თვით რაღაცის იმედად.

– იმაზეც საუბრობენ, რომ დესტაბილიზაციაც არ უნდა გამორიცხოს. ამაზე რას იტყვით?

– თუ ჩვენ ვსაუბრობთ დემოკრატიულ პრინციპებზე, მაშინ ძალადობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მეორე მხრივ, როგორია, ბიძინა ივანიშვილმა დათმოს ხელისუფლება?! ის ვერ დათმობს ხელისუფლებას, რადგან სხვაგან წასასვლელი გზა რეალურად არა აქვს.

მან რომ აღმართოს ხელი თავის ხალხზე, მაშინ ყველანაირი ხიდი, რაც დასავლეთთან არსებობს, ჩატყდება. რას ირჩევს ივანიშვილი, რუსეთთან ურთიერთობას თუ უნდა, ერდოღანის გზა გაიაროს?! ამას ვერ გაბედავს. მე კონკრეტული განცხადებები მენიშნა ძალიან.

– კერძოდ?

– „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირებულმა რამდენიმე ადამიანმა პირდაპირ განაცხადა ტელევიზიებით, თუ ნაციონალები მოტრიალდებიან, იარაღს ავიღებთ ხელშიო. ჯერ ერთი, ასეთი ადამიანები არც უნდა გამოაჩინო ტელევიზიით და მეორეც, „ოცნებასთან“ ასოცირებულმა ადამიანმა რატომ უნდა თქვას ასეთი სიტყვა, თუ ნაცები მოტრიალდებიან, იარაღს ავიღებო?! ამაზე სადღაც იყო ლაპარაკი გუნდში. ამაზე ისინი საუბრობენ, ვინც ერთხელ უკვე აიღო იარაღი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ასეთი ელემენტები ასოცირდებიან „ქართულ ოცნებასთან“!

– რა მოცემულობა გვექნება შემოდგომაზე?

– ძალიან მარტივად ვიტყვი, აქ ყველაფერი ბიძინა ივანიშვილზეა დამოკიდებული. ბიძინა ივანიშვილმა თუ მიიღო გარანტიები დასავლეთისგან, რომ რომელიმე ქვეყანა შეიფარებს, მშვიდად წავა. თუ ეს გარანტიები ვერ მიიღო, მაშინ შეეცდება, გადადოს არჩევნები და ხელისუფლებაში ყოფნის ვადა გაწელოს. არჩევნებს კი იმ შემთხვევაში გადადებს, თუ დაინახავს, რომ „ქართულ ოცნებას“ დაბალი რეიტინგი აქვს და დღეს „ოცნებას“ საშინელი რეიტინგი აქვს.

დღევანდელი მოცემულობით, ბიძინა ივანიშვილს არანაირი გარანტიები არა აქვს და, დიდი ალბათობით, არჩევნებს გადადებს. ესენი ყველაფერზე წამსვლელები არიან. არც ის გამიკვირდება, რომ იარაღი აიღონ ხელში. ბოლოს და ბოლოს, გია კობახიძის შვილია ირაკლი კობახიძე, ცნობილი პუტჩისტის, მისი ავტომატგადაკიდებული ფოტოები მთელ საქართველოს აქვს ნანახი. ამიტომ ამათგან იარაღის აღება არ გამიკვირდება. არც არჩევნების გაყალბება გამიკვირდება, მაგრამ ვერ გააყალბებენ.

ამიტომ რაღაც დესტაბილიზაციის სქემას დახატავენ ან მართულ პარტიებთან შევლენ კოალიციაში და ისე მოვლენ ხელისუფლებაში. დიდი ალბათობით კი არჩევნები რამდენიმე თვით გადაიდება.

მაისში ტურიზმიდან შემოსავალი 96,6%-ით შემცირდა

მაისში ტურიზმიდან შემოსავალი 96,6%-ით შემცირდა. ამის შესახებ აღნიშნულია საქართველოს ეროვნული ბანკის 2020 წლის ივნისის მაკროეკონომიკურ მიმოხილვაში.

კერძოდ, სებ-ის მონაცემების მიხედვით, 2020 წლის მაისში საქართველომ ტურიზმიდან 9,1 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 270,4 მლნ დოლარს შეადგენდა.

ამასთან, გასული თვის განმავლობაში საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა რაოდენობამ მხოლოდ 36 000 შეადგინა, რაც 2019 წლის მაისში არსებულ 682,400-თან შედარებით 94,7%-ით ნაკლებია.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„20 ივნისი პოლიტიკურ თარიღად არ უნდა გადაიქცეს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ირაკლი კობახიძემ ნაციონალები საკუთარ პარტიაში დაითვალოს. არ გაუჭირდება, შეიძლება, 200-ზე მეტიც იყოს“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში 20 ივნისს დაგეგმილ აქციაზე საუბრობს.

– ლაშა, 20 ივნისის აქციასთან დაკავშირებით მაინტერესებს, რა ტიპის აქცია იქნება და რამდენად ხალხმრავალი შეიძლება იყოს?

– უმნიშვნელოვანესი თარიღია, რადგან რეჟიმმა საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და დაგვანახა სისხლიანი რუსული სახე. სწორედ 20 ივნისს გაქარწყლდა, რომ ეს რეჟიმი მისი წინამორბედისგან განსხვავდებოდა და ნაკლებად მოძალადე იყო. ამ ხელისუფლებამ პირდაპირ პუტინის ემისარი ჩასვა საქართველოს მთავარ პოლიტიკურ სავარძელში.

ამდენად, ერთი მხრივ ადამიანები, ამ ქვეყნის მოქალაქეები, გაიხსენებენ ერთი წლის წინანდელ გულწრფელ პროტესტს, რომელიც სრულიად ლეგიტიმური და სამართლიანი იყო და, მეორე მხრივ, მოითხოვენ დაზარალებულებისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას. ეს ადამიანები შეგნებულად არიან სტატუსის გარეშე დატოვებული. ცინიკურია, მაგრამ პოლიციელებს, რომლებსაც ერთი ღერი თმა არ ჩამოვარდნიათ, დაზარალებულის სტატუსი აქვთ, ხოლო ადამიანები, რომლებიც თვალის, მხედველობის გარეშე დარჩნენ დაზარალებულად არ არიან ცნობილი. მათ შორის 40-მდე ჟურნალისტი პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს სასტიკად დაშავდა, მაგრამ დღემდე არც მათ აქვთ დაზარალებულის სტატუსი.

ამით ხელისუფლება გვეუბნება, რომ სახელმწიფომ, კონკრეტულად ამ შემთხვევაში პოლიციელმა, შეიძლება იძალადოს საკუთარ მოქალაქეებზე, მაგრამ ამაზე არავის პასუხი არ მოეთხოვოს, პირიქით შეიძლება მოხდეს. ასეთ დაუსჯელ ძალადობას რა მოაქვს თავად ხელისუფლებისთვის, ბევრჯერ გვაქვს ამ ქვეყანაში ნანახი: 7 ნოემბერი, 26 მაისი ამის ნათელი მაგალითებია. ამიტომ არის პრინციპული მნიშვნელობის მატარებელი 20 ივნისს პროტესტის გამოხატვა.

– როგორ ფიქრობთ, რატომ არ აქვთ მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი?

– დაზარალებულის სტატუსი პირდაპირ ნიშნავს, რომ დაზარალებულს საქმის მასალებთან ექნება წვდომა. სწორედ ამ მასალების დეტალებში იმალება ეშმაკიც, გახარიაც, ჩუბინიძეც და, რაც მთავარია, ივანიშვილი. ვინ გასცა ოპერაციის ჩატარების ბრძანება – სწორედ ეს იმალება ამ მასალებში. მაღალი ალბათობით, დარწმუნებული ვარ, ეს პირადად ივანიშვილი იყო, რაც ჩუბინიძემ აღასრულა. რაც შეეხება გახარიას, მან დანაშაული დაფარა. ამის გამო მას მოუწევს პასუხისგება, როგორც ვანო მერაბიშვილმა აგო პასუხი.

– აქცია ხალხმრავალი იქნება. დაახლოებით რამდენ ადამიანს ელოდებით და რეგიონებიდან თუ იქნებიან, რა ინფორმაცია გაქვთ?

– აქცია ძირითადად სამოქალაქო მოძრაობის მიერ არის ორგანიზებული. პოლიტიკური პარტიები, რა თქმა უნდა, ვუერთდებით ამ აქციას, მაგრამ რეგიონებიდან ადამიანების ორგანიზებულ ჩამოყვანას, როგორც მე მაქვს ინფორმაცია, პარტიები არ გეგმავენ. საყოველთაო მობილიზაცია ნამდვილად არ გვაქვს. ეს იქნება ადამიანების მიერ საკუთარი თავისა და ქვეყნის ღირსების დაცვა, ღია მესიჯი ხელისუფლებისადმი, რომ ამ ქვეყანაში არავის გაუვა ადამიანებისთვის სულში ჩაფურთხება და თვალში ტყვიის სროლა. ქართველი ხალხის ღირსებას ვერავინ შელახავს.

რამდენად ხალხმრავალი იქნება, მხოლოდ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. გარკვეული შიშები ეპიდემიიდან გამომდინარე, რასაკვირველია, ხალხში არის. ამიტომ ნაწილმა შეიძლება მაინც თავი აარიდოს და არ გამოვიდეს აქციაზე, თუმცა, თუ სოციალურ დისტანციას დავიცავთ და პირბადეები გვექნება, საფრთხე ნაკლებია.

– ხმები ვრცელდებოდა ალტერნატიულ აქციასთან დაკავშირებით, რასაც ხელისუფლებამ ფეიკნიუსი უწოდა. ირაკლი კობახიძემ განაცხადა, არ ვაპირებთ, 200 ნაციონალს რაიმე სახის კონტრაქცია დავუპირისპიროთო.

– ირაკლი კობახიძემ ნაციონალები საკუთარ პარტიაში დაითვალოს, არ გაუჭირდება, შეიძლება, 200-ზე მეტიც იყოს. მისი ადგილი პოლიტიკაში არ უნდა იყოს. 20 ივნისის შემდეგ, რაიმე სახის ღირსება რომ ჰქონდეს, საერთოდ პოლიტიკურ განცხადებას არ უნდა აკეთებდეს. სწორედ კობახიძის სინდისზეც არის (თუ სამართლებრივი პასუხისმგებლობაც არ არის, რაც გამოძიების საგანია), რომ ადამიანებმა ჯანმრთელობა, მხედველობა დაკარგეს.

– კობახიძე დროულად რომ გადამდგარიყო, მოვლენები ასე არ განვითარდებოდა?

– რა თქმა უნდა, არა. მან ვერ გააცნობიერა საკუთარი გადადგომის მნიშვნელობა, პასუხისმგებლობა ვერ იგრძნო და არც აიღო, ცხადია, თანამდებობა არჩია. კობახიძის გადადგომა ნამდვილად იქნებოდა პროცესების სტაბილიზაციის წინაპირობა, რაც ვერც ივანიშვილმა და ვერც ხელისუფლებაში ვერავინ გაითვალისწინა. ამიტომ მათ ამაზე პასუხი უნდა აგონ. კობახიძე „ქართული ოცნების“ რეალური სახეა.

რაც შეეხება კონტრაქციას, რასაც აპირებდა ხელისუფლება, ეს სწორედ ავტორიტარიზმისა და აგონიის ნიშანია.

– ფეიკნიუსიაო.

– ხმები მოდიოდა, რომ ნამდვილად აპირებდნენ, მაგრამ მერე, როგორც ჩანს, მიხვდნენ, რომ არც ერთი ნორმალური, ცივილიზებული ხელისუფლება აქციას არ მართავს. როგორც ჩანს, გააცნობიერეს, რომ ეს ძალიან სახიფათო იქნებოდა პირველ რიგში მათთვის.

– რამდენად არის დღის წესრიგში ოპოზიციის საერთო მაჟორიტარი კანდიდატების გამოცხადება აქციაზე და თუ დასრულდა შეთანხმების პროცესი თბილისის მასშტაბით?

– ეს პროცესი ბოლო სტადიაზეა. თუმცა, რამდენად იქნება 20 ივნისს აქციაზე საერთო კანდიდატები გამოცხადებული, ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს ოპოზიციაში. ამაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

– მიზეზი რა არის?

– შეიძლება, 20 ივნისის მნიშვნელობის გადაფარვა მოხდეს.

– თუ კანდიდატებზე შეთანხმება არ არის მიღწეული?

– არა, არა, მიზეზი ნამდვილად ეს არ არის. სიმართლე გითხრათ, მეც ვიხრები იმ პოზიციისკენ, რომ 20 ივნისი ძალიან მნიშვნელოვანი თარიღია და მისი პოლიტიკურ თარიღად გადაქცევა არ იქნება მართებული. ადამიანები 20 ივნისს ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე იბრძოდნენ ამ ქვეყნის ღირსების დასაცავად.

ცხინვალი თბილისსა და ევროკავშირს ახალ პრეტენზიებს უყენებს

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლო დროს ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი ოფიციალური თბილისისა და მთელი ქართველების მიმართ უკიდურესად მკაცრი და შეურიგებელი გახდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ოკუპირებული რესპუბლიკის ფაქტობრივმა მმართველობამ საქართველოს ხელისუფლების გასამართლება მოითხოვა. ოსები აცხადებენ, რომ 100 წლის წინ, 1920 წელს, ასევე, 90-იან წლებსა და 2008 წელს საქართველოს სხვადასხვა ხელისუფლებამ მოაწყო ოსების გენოციდი. თბილისს გენოციდი არ უღიარებია. ცხინვალში თვლიან, რომ წარსულ ცოდვებზე პასუხი უნდა აგოს საქართველოს ახლანდელმა ხელისუფლებამ, რომელიც წინა ხელისუფლებების სამართალმემკვიდრეა. ეს ხელისუფლება, საოკუპაციო ადმინისტრაციის აზრით, იდეოლოგიურად არ განსხვავდება გენოციდის მომწყობებისაგან და ცხინვალს ყველანაირად ავიწროებს.

თბილისისადმი წერილობითი ბრალდებები გაიგზავნა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ცხინვალის ადმინისტრაცია პრეტენზიების წამოყენებას განაგრძობს. ახლანდელი ბრალდებები უფრო კონკრეტულია.

ცხინვალის რეჟიმის ე.წ. სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი თბილისს რეგიონის უსაფრთხოების ხელყოფაში ადანაშაულებს.

მისი მტკიცებით, სტაბილურობას არყევს და დაძაბულობას იწვევს საქართველოს ხელისუფლების მოქმედებები გამყოფ ხაზზე (ცხინვალის რეჟიმის ტერმინოლოგიით, „სახელმწიფო საზღვარზე“). საუბარია ქართული ბლოკსაგუშაგოების შექმნასა და საჰაერო აპარატების გამოყენებაზე.

– სახელმწიფო საზღვრის უისტას (წნელისის) მონაკვეთზე ქართული მხარე ცდილობს იმ სიტუაციის მოდელირებას, რომელიც წინ უძღოდა საქართველოს შსს-ს უკანონო პოსტის მოწყობას 2019 წლის აგვისტოში. ამჟამად ტყის მასივში ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანასთან ფიქსირდება ნიშნები. ისინი გაკეთებულია საღებავით ხეებზე. შარშან თბილისის რეჟიმმა „წნელისის კრიზისის“ წინ მსგავსი ღონისძიება გამართა. მაშინ ადილის მარკირება წარმოაჩინეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების საბჭოს სასაზღვრო სამსახურის მოქმედებად. ამის შემდეგ განთავსდა საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების უკანონო პოსტი, – აცხადებს უშიშროების კომიტეტი.

მისი თქმით, დასახლებული პუნქტის, ჩორჩანას ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, ტყეში, განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი საგუშაგო. მასთან ფიქსირდება დაახლოებით პოლიციის ხუთი თანამშრომელი.

შიდა ქართლის საოკუპაციო რეჟიმს თავზარს სცემს ამ მიდამოებში ახალი გზის გაყვანა:

– სასაზღვრო ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში თბილისმა განაცხადა ბროლოსანი-ჩორჩანას გზის 3-კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობის შესახებ. ეს საშუალებას მისცემს ქართულ მხარეს, აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს ამ რაიონში ძალებისა და საშუალებების მაქსიმალურად სწრაფი დისლოკაცია.

ცხინვალის უშიშროება ქარელის ჰოსპიტალსაც აპროტესტებს და ამისათვის ბრალს, თბილისის გარდა, ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიასაც უყენებს:

– ქარელის მუნიციპალიტეტის აბისის დასახლებულ პუნქტში გაშლილია ჰოსპიტალი თითქოსდა კორონავირუსით ინფიცირებულებისათვის. სამედიცინო დაწესებულების კონტროლს ახორციელებს ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია.

საოკუპაციო რეჟიმი უბრუნდება მფრინავი აპარატების საკითხსაც:

– 12 ივნისს საქართველოს ტერიტორიის თავზე, ლენინგორთან, დაფიქსირებულია მსუბუქი თვითმფრინავის გაფრენის ფაქტი.

ცხინვალის ადმინისტრაცია აღნიშნავს, რომ თვითმფრინავი სახელმწიფო საზღვრიდან 500 მეტრში ახორციელებდა საჰაერო დაზვერვას. მიუხედავად ამ ინციდენტზე ცხელი ხაზის ამოქმედებისა, არ ყოფილა პასუხი არც ქართული მხრიდან და არც ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიისგან.

ცხინვალის უშიშროება აცხადებს, რომ საქართველოს შსს-ს ყველა სასაზღვრო ობიექტს აკონტროლებს ცხინვალის რეგიონის სასაზღვრო ძალები.

საოკუპაციო რეჟიმის ტონი და სტილი უფრო მკაცრდება. ერთი მხრივ, რეჟიმი ასრულებს რუსეთის მითითებებს და ცდილობს, ასიამოვნოს კრემლს მოსკოვში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში ცხინვალის მონაწილეობის წინ. მეორე მხრივ კი ცხინვალში შიში მატულობს. საოკუპაციო რეჟიმი სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით ასკვნის, რომ გორთან განთავსდება აშშ-ის სამხედრო ბაზა. ამაზე ცხინვალელი ანალიტიკოსები საუბრობენ.

მეორადი ტანსაცმელი გაძვირდა

5 ქვეყანა, სადაც საქართველო „ძონძებს“ ყიდულობს

რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ საქართველოში ყველა ტიპის მაღაზია და ბაზრობა გაიხსნა.

შესაბამისად, მუშაობა განაახლა ყველა იმ სავაჭრო წერტილმა, სადაც მეორადი ტანსაცმელი იყიდება, თუმცა, გაზრდილი ფასებით. როგორც მოვაჭრეები „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებენ, გაუფასურებული ლარის გამო გაუძვირდათ პროდუქციის ასაღები ფასი და იძულებულები გახდნენ, გაეზარდათ ტანსაცმლის საცალო ღირებულებაც.

მეორად ბაზრობაზე ტანსაცმლის ფასები საშუალოდ 2-დან 10 ლარამდეა გაზრდილი. ფასი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მდგომარეობაშია ესა თუ ის სამოსი, რა ბრენდია და რომელი ქვეყნიდან შემოდის.

მოვაჭრეები ამბობენ, რომ ყველაზე ძვირი ამერიკა-ბრიტანეთიდან იმპორტირებული პროდუქტი ღირს, შემდეგია გერმანია, ევროპის სხვა ქვეყნები და თურქეთი. საქართველოში კი, ბოლო, 2020 წლის 4 თვის მონაცემებით, იმპორტირებული მეორადი ტანსაცმლის 29% თურქეთზე მოდის. მეზობელი ქვეყნიდან იანვარ-აპრილში 563,4 ტონა ტანსაცმელი შემოვიდა, მთლიანად, ყველა ქვეყნიდან კი – 1944 ტონა.

„ბიზნესპრესნიუსი“ გთავაზობთ TOP-5 იმპორტიორ ქვეყანას: (2019 წლის იანვარ-აპრილი: წყარო – საქსტატი)

თურქეთი – 1,351 მლნ დოლარი – 563,4 ტონა

აშშ – 890.3 ათასი დოლარი – 113,4 ტონა

გერმანია – 702,6 ათასი დოლარი – 156,7 ტონა

ნიდერლანდები – 144,8 ათასი დოლარი – 51,8 ტონა

იტალია – 139,9 ათასი დოლარი – 54,8 ტონა

აღსანიშნავია, რომ 2020 წლის იანვარ-აპრილში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქართველოში მეორადი ტანსაცმლის იმპორტი შემცირდა. კერძოდ, წელს 4 თვეში ქვეყანამ 5,557 მლნ დოლარის ღირებულების მეორადი ტანსაცმელი იყიდა, შარშან კი 6,529 მლნ დოლარის იმპორტი განხორციელდა.

რაც შეეხება მთლიანად 2019 წელს, შარშან 7794 ტონა ტანსაცმლის იმპორტზე საქართველოდან 23,348 მლნ დოლარი გავიდა. მთავარი იმპორტიორი ქვეყნები კი იყვნენ:

თურქეთი – 6,403 მლნ დოლარი – 2 656 ტონა

გერმანია – 4,054 მლნ დოლარი – 742,5 ტონა

ბელგია – 2,636 მლნ დოლარი – 1 079 ტონა

აშშ – 2,136 მლნ დოლარი – 266,7 ტონა

გაერთიანებული სამეფო – 1951 დოლარი – 745,4 ტონა.

ვის არ აქვს პირბადის გამოყენების ვალდებულება



დახურულ საჯარო სივრცეებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ტაქსებში პირბადის გამოუყენებლობის შემთხვევაში, მოქალაქეები დაჯარიმდებიან. მთავრობამ უკვე განსაზღვრა დახურული სივრცეები, სადაც პირბადის ტარება სავალდებულო იქნება.

თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევებიც. კერძოდ, **პირბადის გამოყენება არ მოეთხოვება:**

- თავდაცვის ძალების შემადგენლობაში მყოფ პირს, პენიტენციარული დაწესებულების თანამშრომელსა და სამართალდამცავ პირს, უფლებამოსილების განხორციელებისას, თუ შეუძლებელია პირბადის გამოყენება ან/და პირადად უშუალო კომუნიკაცია არ უწევს გარეშე პირთან;
- პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას პირს, თუ მის მიერ ამ საქმიანობის განხორციელების პროცესში პირბადის ტარება შეუძლებელია (მათ შორის, ლოგოპედს, ჟესტური ენის თარჯიმანს);
- 6 წლამდე ასაკის ბავშვს;
- პირს, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (მათ შორის, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების, ბრონქული ასთმის, სუნთქვის უკმარისობით მიმდინარე გულ-სისხლძარღვთა დაავადების, ფსიქიკური აშლილობის, აუტისტური სპექტრის დარღვევის ან/და განვითარების ანომალიის ან დეფექტის გამო) უჭირს პირბადის ტარება, რაც დასტურდება სამედიცინო/ექიმის ცნობით;
- მემანქანესმეტროპოლიტენით/რკინიგზით გადაადგილებისას;
- პირს დახურულ საჯარო სივრცეში, თუ პირის მიერ მომსახურების მიღება/მომსახურებით სარგებლობა და პირბადის ტარება ერთად შეუძლებელია.

გიორგი გაბუნია 18 ივნისს, 10 საათზე, სუსში დაიბარეს

„შეიძლება, მოსამართლის თანდასწრებით გამოკითხვა მოვითხოვო“

ჟურნალისტი და ტელეწამყვანი გიორგი გაბუნია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში დაიბარეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებაში განუცხადეს, გაბუნია 18 ივნისს, დილის 10:00 საათზეა დაბარებული.

ტელეკომპანია „მთავარის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას განცხადებით, კონტრტერორისტული სამსახურის მიერ ქავთარაძის ქუჩაზე რამდენიმე დღის წინ დაკავებული რუსეთის მოქალაქე, ეროვნებით ინგუში ვასამბეგ ბადრის ძე ბოკოვი, ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას ლიკვიდაციას გეგმავდა. გვარამიას ინფორმაციით, გიორგი გაბუნიას ლიკვიდაცია ჩეჩნეთის ლიდერის, რამზან კადიროვის დაკვეთით იგეგმებოდა, რისი მიზეზიც გაბუნიას მიერ პუტინის მისამართით, ჯერ კიდევ „რუსთავი 2“-ზე მუშაობისას, მის გადაცემაში გაკეთებული განცხადება იყო.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაადასტურა, რომ ვასამბეგ ბოკოვის დაკავება შეკვეთით განზრახ მკვლელობის მომზადების ფაქტზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში განხორციელდა.

თავად ჟურნალისტი გაბუნია მიიჩნევს, რომ ამ საქმეში სანდოობა დაბალია, ვინაიდან პოლიტიკური ინტერესებია და ამასთანავე საქმე „მთავარ არხსა“ და არხის დირექტორს, ნიკა გვარამიას ეხება.

– უნდა გავიარო ჩვენს ადვოკატებთან კონსულტაცია და მივიღებ გადაწყვეტილებას, წავალ პირდაპირ ამ დაკითხვაზე თუ გვარამიას მსგავსად მოვითხოვ მოსამართლის თანდასწრებით გამოკითხვას. სანდოობის დონე ძალიან დაბალია ხოლმე, მით უმეტეს, როდესაც პოლიტიკური თემაა ჩაქსოვილი ამ ყველაფერში და მით უმეტეს, როდესაც „მთავარ არხს“ ეხება და მით უმეტეს კიდევ, „მთავარი არხიდან“ იმდენად, გაბუნიას არა, მაგრამ გვარამიას თუ ეხება ხოლმე საქმე, აი ნდობის საკითხი, როგორ შეიძლება მქონდეს 100%-იანი – არა, რა თქმა უნდა.

ამიტომაც თვითონ ნიკამაც მოითხოვა მოსამართლის თანდასწრებით გამოკითხვა და, დიდი ალბათობით, მეც ასე მოვითხოვ, – განაცხადა გიორგი გაბუნიამ.

გუშინ, 17 ივნისს, სუსში ნიკა გვარამიაც დაიბარეს, რომელმაც იქ მისვლაზე უარი თქვა და მოსამართლის თანდასწრებით გამოკითხვა მოითხოვა.

სუსი: „ვასამბეკ ბოკოვის საქმის საჯარო განხილვისგან თავი შევიკავოთ“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ვასამბეკ ბოკოვის დაკავებასთან დაკავშირებით მორიგ განცხადებას ავრცელებს.

უწყებაში აცხადებენ, რომ მასმედიის საშუალებებში თემის განხილვის დროს, რიგ შემთხვევებში, კეთდება ისეთი სახის უპასუხისმგებლო განცხადებები, რომლებიც, მათივე თქმით, არც ფაქტობრივ გარემოებებზეა დაფუძნებული და, რაც ყველაზე შემაშფოთებელია, აზიანებს გამოძიების ინტერესებს.

სუს-ი მოუწოდებს ყველას, თავი შეიკავონ სისხლის სამართლის საქმის გარემოებების საჯარო განხილვისაგან, რათა ხელი არ შეეშალოს ინტენსიურად მიმდინარე საგამოძიებო პროცესს.

„როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2020 წლის 15 ივნისს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაკეთდა განცხადება რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, ვასამბეკ ბოკოვის ბრალდების საქმესთან დაკავშირებით, რა დროსაც ჩვენ მიერ გახმოვანდა მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც, ჩვენი თვალთახედვით, მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო საზოგადოების სწორი ინფორმირებისთვის და არ დატოვებდა სივრცეს მანიპულირებისთვის.

ხსენებულ განცხადებაში, ჩვენ ცალსახად მივუთითეთ, რომ საქმეზე მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება და ნებისმიერი სახის ინფორმაციის – ნამდვილისა თუ ყალბის – გავრცელებამ, შესაძლოა, დააზიანოს მთავარი საჯარო ინტერესი – დადგინდეს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება, მხილებულ იქნეს დანაშაულში ჩაბმული ყველა პირი და აღსრულდეს მათ მიმართ მართლმსაჯულება.

მიუხედავად ამისა, მასმედიის საშუალებებში თემის განხილვის დროს, რიგ შემთხვევებში, კეთდება ისეთი სახის უპასუხისმგებლო განცხადებები, რომლებიც არც ფაქტობრივ გარემოებებზეა დაფუძნებული და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, აზიანებს გამოძიების ინტერესებს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ურთულეს სისხლის სამართლის საქმეზე პრაქტიკულად უწყვეტ რეჟიმში ტარდება სხვადასხვა სახის საგამოძიებო მოქმედებები, იკრიბება და ფასდება მტკიცებულებები და სკრუპულოზურ ანალიზზე დაყრდნობით იგეგმება ყოველი შემდგომი ნაბიჯი, რათა არც ერთი ვერსია და ფაქტობრივი გარემოება არ დარჩეს გამოძიების ჯეროვანი ყურადღების მიღმა.

ამ პროცესში ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალსაც შეიძლება ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რის გამოც კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ყველას, თავი შეიკავონ სისხლის სამართლის საქმის გარემოებების საჯარო განხილვისაგან, რათა ხელი არ შეეშალოს ინტენსიურად მიმდინარე საგამოძიებო პროცესს.

ამასთან, გვსურს, ცალსახად აღვნიშნოთ, რომ გამოვთქვამთ მზადყოფნას, კანონით დადგენილი წესისა და პროცედურის დაცვით, ნებისმიერი პირისაგან მივიღოთ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია და მოვუწოდებთ საზოგადოებას, ითანამშრომლონ გამოძიებასთან“, – ნათქვამია განცხადებაში.

ნუგზარ კახიძის მკვლელობიდან ვარკეთილის ბაზრობის ხანძრამდე

რას აგვარებდა მამუკა მდინარაძის საადვოკატო ბიურო

უკომპრომისო ბრძოლაში ვარკეთილის ბაზრობის მოწილეები მას შემდეგ შევიდნენ, რაც კუთვნილი პროცენტების გადანაწილებაზე ვერ შეთანხმდნენ. მრავალწლიანი დაუსრულებელი დავისა და დაპირისპირების მიუხედავად, კონფლიქტი ამ დრომდე ამოწურული არ არის.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, ვარკეთილის ბაზარს ამ დროისთვის 8 კანონიერი მფლობელი ჰყავს, თუმცა 2018 წლის 20 თებერვლის განჩინებით, ბაზრობის ნაწილს ყადაღა დაედო. მუდმივი ბრძოლისა და დაპირისპირების ფონზე, ვარკეთილის ბაზრობაზე გაჩენილი ხანძრის შემდეგ, საგამოძიებო ორგანომ, შესაძლოა, თავად ბაზრობის მფლობელებიც გამოკითხოს.

ვარკეთილის ნილებზე დაწყებულმა დავამ, 2018 წლის 21 მარტს, 15% წილის მფლობელი ნუგზარ კახიძე იმსხვერპლა. საკუთარ სახლში მოკლული ბიზნესმენის საქმე შეკვეთილი და ამ დრომდე გაუხსნელია. კახიძის მკვლელობაში ბრალდებული გია ჩოფლიანი გამოძიებამ ამ დრომდე ვერ დააკავა, მასზე ძებნაა გამოცხადებული.

ვარკეთილის ბაზარში გაჩენილი ხანძარი, შესაძლოა, ნუგზარ კახიძის მკვლელობის საქმისა და მოწილეებს შორის არსებული დაპირისპირების შედეგი იყოს – ამას არც მოკლული ბიზნესმენის შვილი, კახაბერ კახიძე გამორიცხავს. ამბობს, რომ ყველა დამნაშავე მკაცრად უნდა დაისაჯოს.

კონფლიქტი რომ ამოწურული არ არის, ამაზე ღიად საუბრობენ, სხვა მოწილეებიც. მიუხედავად იმისა, რომ საქმე სასამართლოშია, მხარეები კონფლიქტის დასრულებას მაინც არ გეგმავენ. ყველაზე დიდი, 30%-იანი წილის მფლობელი, თემურ პირველი, ყოფილ მოწილეებს დაუსრულებელი დავების წარმოებაში ადანაშაულებს. ნუგზარ კახიძის მკვლელობასთან გამოძიების დასრულებამდე პარალელების გავლება უჭირს.

ბიზნესმენ ნუგზარ კახიძის შეკვეთილი მკვლელობის შემდეგ გამოძიებამ ბაზრობის ყველა მოწილე გამოკითხა. საგამოძიებო უწყება იმის დადგენა ცდილობდა, რა კავშირი ჰქონდა მფლობელებს შორის დავას, ნუგზარ კახიძის მკვლელობასთან. საგამოძიებო ორგანოებმა 2018 წელს ამ საქმეებს შორის კავშირი ვერ იპოვნეს, საქმე კი მალევე გახსნეს, ერთადერთ დამნაშავედ დაქირავებული ქილერი გამოაცხადეს, თუმცა ამ საქმის შემდგომაც მხარეთა შორის დავა არ დასრულებულა.

ერთ-ერთი ვერსიით, ვარკეთილის ბაზრობის მეწილეებს შორის დავას „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერის, მამუკა მდინარაძის საადვოკატო ბიურო აგვარებდა. დეპუტატს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ სურს.

ვარკეთილის ბაზარში გაჩენილი ხანძრის შემდეგ, ყველა კითხვას საგამოძიებო ორგანომ უნდა უპასუხოს. უცნობია, როდის გამოიკითხებიან ბაზრობის წილის მფლობელები.

უახლოეს ხანებში კი უნდა დაიდოს ექსპერტიზის დასკვნაც, რომელიც ხანძრის გამომწვევ მიზეზებს დაადგენს.

თბილისში, ჯანელიძის ქუჩაზე, 52 წლის გარიკ გევორქიანი მოკლეს

დაკავებულია 55 წლის ცოლაკ აივაზიანი

თბილისში 52 წლის მამაკაცი მოკლეს. მას ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე ტყვია ესროლეს. ერთ-ერთი ტყვია საცხოვრებელ სახლს მოხვდა.

„კურიერის“ ინფორმაციით, პირს, რომელიც წარსულში მძიმე დანაშაულისთვის არის მსჯავრდებული, დილით სამმა პირმა მიაკითხა, სახლიდან გაიყვანა და მიმდებარე ტერიტორიაზე, იარაღიდან ესროლა. გასროლამდე დანაშაულში მონაწილე პირები ჯერ საუბრობდნენ, შემდეგ კამათი დაპირისპირებაში გადაიზარდა. მკვლელობა ქუჩაში მოხდა.

ცხედარი კრიმინალისტებმა მატარებლის ლიანდაგთან იპოვეს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ქუჩაზე მოკლული მამაკაცი 52 წლის გარიკ გევორქიანია.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, მკვლელობაში ბრალდებულია 55 წლის ცოლაკ აივაზიანი. მკვლელობა მიწის ნაკვეთთან დაკავშირებულ კონფლიქტს უკავშირდება. ასევე, მოკლულისა და ეჭვმიტანილის ოჯახები ერთმანეთთან ახლობლობდნენ.

პოლიციამ დანაშაულში ეჭვმიტანილი მკვლელობიდან რამდენიმე საათში დააკავა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1965 წელს დაბადებული ც.ა. განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვატარების ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, პაატა ჯანელიძის ქუჩაზე, ოჯახის ახლობელს – 1968 წელს დაბადებულ გ.გ.-ს, შურისძიების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიყენებული ჭრილობის შედეგად, გ.გ. ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ც.ა. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ მისი პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღო დანაშაულის ჩადენის იარაღი – მაკაროვის სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი.

გამოძიება განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

6 წლის ბიჭს ფეხი დაუცდა, მტკვარში ჩავარდა და დაიხრჩო

ამ დროს დედა შვილებს ფოტოებს უღებდა

გუშინ, 17 ივნისს, უბედური შემთხვევა მოხდა თბილისში – მდინარე მტკვარში ჩავარდნილი ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა. 6 წლის ბიჭი დასთან და დედასთან ერთად მდინარის ნაპირზე იმყოფებოდა, როდესაც ფეხი დაუცდა და დინებამ გაიტაცა.

თვითმხილველები ყვებიან, რომ დედას შვილები სასეირნოდ ჰყავდა გამოყვანილი და მათ ფოტოებს უღებდა. სწორედ ამ დროს დაუცდა ფეხი სველ ქვაზე 6 წლის ბიჭს და მტკვარში გადავარდა.

დედამ და მისმა 13 წლის დამ ბავშვის გადარჩენა ცადეს და წყალში თავადაც შევიდნენ, თუმცა მდინარის სიღრმე ქვემო ფონიჭალის ამ ტერიტორიაზე დაახლოებით 9 მეტრია და დინება იმდენად ჩქარია, რომ ისინი მაშველებმა გამოიყვანეს, ბიჭის ცხედარი კი მტკვარმა მეორე ნაპირზე გამორიყა.

ადგილობრივები და თვითმხილველები ბიჭის გადარჩენას მეორე ნაპირზეც ცდილობდნენ, თუმცა უშედეგოდ. მათი თქმით, პატარა ბიჭს პულსი აღარ ესინჯებოდა.

გარდაცვლილი ბიჭის 13 წლის და შოკური მდგომარეობით რეფერალურ კლინიკაშია მოთავსებული. მკურნალი ექიმის დავით ლალიაშვილის განცხადებით, პაციენტის მდგომარეობა ამ ეტაპზე სტაბილურია და ტრავმული დაზიანებები არ აქვს.

გამოძიება ამ ეტაპზე 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რომელიც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

„ისეთი ნაცემი ვიყავი, რომ გადაადგილება მიჭირდა“

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა უნდა გაარკვიოს, სცემეს თუ არა ბათუმის პოლიციის მესამე განყოფილებაში 27 წლის მამაკაცს, რომელიც ეკლესიის ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

– ისეთი ნაცემი ვიყავი, რომ გადაადგილება მიჭირდა, – თქვა სასამართლო პროცესზე ძარცვაში ბრალდებულმა.

გაძარცვულ ტაძარში ამბობენ, რომ ზარალი 30 ლარამდეა.

ამასთან, როგორც ირკვევა, რახან ზარალი უმნიშვნელოა, მეუფე დიმიტრის ბრალდებულის შეწყალება სურდა, მაგრამ გამოძიებამ მას უთხრა, რომ მამაკაცს ასევე ედავებიან, რომ მან ერთ-ერთი მაღაზიიდან 140 ლარის ღირებულების ნაყინის მასალა მოიპარა.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში „ნიუპოსტს“ უთხრეს, რომ გამოძიება 333-ე მუხის მესამე ნაწილის ბ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

გლდანში ბმვ-მ ქალი გაიტანა და მოკლა

16 ივნისს, საღამოს, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა გლდანში. ქერჩის ქუჩაზე ავტომანქანა ბმვ ქვეითს შეეჯახა.

ქალი ადგილზე დაიღუპა. მძღოლს შემთხვევის ადგილი არ მიუტოვებია.

მომხდარზე შსს-მ გამოძიება 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

4 წლის გოგონას მიმართ გარყვნილი ქმედებისა და ცივი იარაღის ტარებისთვის ა.ლ.-ს 17 წელი მიესაჯა

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ქურდობისთვის რამდენიმეჯერ ნასამართლევ და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფ პირს 4 წლის გოგონას მიმართ გარყვნილი ქმედებისა და ცივი იარაღის ტარებისთვის 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მცირეწლოვნის მიმართ გარყვნილი ქმედების ორ ეპიზოდზე და ცივი იარაღის ტარებისთვის ბრალდებული ა.ლ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის სექტემბერში ქუთაისში ქურდობისთვის რამდენიმეჯერ ნასამართლევმა და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა ა.ლ-მ მეზობლის 4 წლის გოგონას მიმართ ორჯერ განახორციელა გარყვნილი ქმედება. ასევე ა.ლ. ატარებდა ხელჯოხ-დაშნას, რაც ცივ იარაღთა კატეგორიას მიეკუთვნება.

სამართალდამცველებმა ა.ლ. 2019 წლის 24 სექტემბერს ქ.ქუთაისში დააკავეს და მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

არასრულწლოვანი დაზარალებულის მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად შესაძლო ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით, საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა. საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, დაზარალებულის ადვოკატის ინტერესების გათვალისწინებით, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, არასრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვა დისტანციურად, ფსიქოლოგის მონაწილეობით განხორციელდა. აღნიშნულმა კი უზრუნველყო არასრულწლოვანთა მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ა.ლ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი; ძალადობის გარეშე სრულწლოვნის გარყვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან), 238-ე მუხლის მეორე ნაწილით (ცივი იარაღის ტარება) და განაჩენთა ერთობლიობით 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

პრეზიდენტმა ტრამპმა პოლიციის რეფორმას ხელი მოაწერა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა აღმასრულებელ განკარგულებას პოლიციის რეფორმის შესახებ ხელი მოაწერა.

ბრძანება ითვალისწინებს სამართალდამცავების მიერ არასათანადო ქმედებების აღრიცხვასა და მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას.

პრეზიდენტმა თეთრ სახლში გამოსვლის დროს განაცხადა, რომ, განკარგულების თანახმად, პოლიციელებს „მახრჩობელა ილეთების“ გამოყენება ეკრძალებათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პოლიციის ოფიცრის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

– ამერიკელებმა იციან სიმართლე: პოლიციის გარეშე ქაოსი იქნება, კანონის გარეშე – ანარქია, უსაფრთხოების გარეშე კი – კატასტროფა, – განაცხადა ტრამპმა.

გერმანიიდან აშშ-ის ჯარის გაყვანა გადაწყვეტილი არ არის

ცნობამ გერმანიიდან აშშ-ის ჯარების გაყვანის თაობაზე გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია. აშშ-ის ელჩმა ნატოში კეი ბეილ ხატჩისონმა განაცხადა, რომ შიში ამ საკითხის გამო ნაადრევია.

– გერმანიიდან აშშ-ის ჯარების გაყვანა არ არის გადაწყვეტილი, – თქვა მან.

აშშ-ის ელჩმა ნატოში ხაზი გაუსვა, რომ გერმანია მომავალშიც ამერიკის ერთგული მეგობარი და მოკავშირე იქნება.

გერმანიაში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის 168 მოხალისეზე გამოცდა იწყება

გერმანიის ვაქცინებისა და ბიომედიცინის ფედერალურმა ინსტიტუტმა გერმანულ ფარმაცევტულ კომპანიას კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის ადამიანებზე გამოცდის უფლებამოსილება მიანიჭა.

ტელეკომპანიის ცნობით, კომპანია ვაქცინის გამოცდას 168 ჯანმრთელ მოხალისეზე იწყებს.

ბოლო მონაცემებით, გერმანიაში კორონავირუსის 188.382 შემთხვევაა დადასტურებული, გარდაცვლილია 8.910 ადამიანი.

კოვიდინფიცირებულთა რაოდენობით გერმანია მე-10 პოზიციაზე დგას მსოფლიოში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

მამაკაცმა ლატარიის რვა ერთნაირი ბილეთი შეიძინა და ჯეკპოტი მოხსნა



ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ ვუდბრიჯის მკვიდრმა რვა ერთნაირი ლატარიის ბილეთი შეიძინა და ჯეკპოტი მოხსნა.

გარი პირპოინტმა ავტოგასამართ სადგურზე ლატარიის რამდენიმე ერთნაირი ბილეთი იყიდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ჯეკპოტს მოხსნიდა და საკუთარ პრიზს გაზრდიდა.

მან ბილეთებში ჩაწერა ციფრები 1, 5, 7, 15 და 23-I, რომლებიც თავისი ოჯახის წევრების დაბადების დღეებს შეესატყვისებოდა. შედეგად ყოველმა ბილეთმა ამერიკელ მამაკაცს 100 ათასი დოლარის მოგება მოუტანა, ასე რომ, საერთო ჯამში, მისმა მოგებამ 800 ათასი დოლარი შეადგინა.

კალეიდოსკოპი

მაიკლ ჯორდანმა 200-კილოგრამიანი თევზი დაიჭირა

კალათბურთელმა მაიკლ ჯორდანმა უზარმაზარი ხმალთევზა, მარლინი დაიჭირა, რომლის წონამ 200,6 კილოგრამი შეადგინა.

57 წლის სპორტსმენი მონაწილეობას იღებს ყოველწლიურ კონკურსში Big Rock Blue Marlin Tournament, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინას შტატში იმართება და მასში მეთევზეები მთელი მსოფლიოდან იღებენ მონაწილეობას. ტურნირის საპრიზო ფონდი 3,3 მილიონ დოლარს შეადგენს. გამარჯვებული, რომელიც ყველაზე დიდ მარლინს დაიჭერს, ამ თანხის მესამედს მიიღებს.

ჯერჯერობით ჯორდანმა სამი საპრიზო ადგილიდან ვერც ერთთან მიახლოება ვერ შეძლო. კონკურსის დროს ყველაზე დიდი დაჭერილი თევზის წონა 224 კილოგრამს შეადგენს. გარკვეული დროის განმავლობაში მაიკლი მეხუთე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კიდევ ერთმა კონკურსანტმა 204 კილოგრამიანი მარლინი დაიჭირა, ყოფილმა კალათბურთელმა მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა.

კონკურსი ჯერ არ დასრულებულა, ამიტომ ჯორდანს ჯერ კიდევ აქვს შედეგის გაუმჯობესების შანსი.

64 წლის ქალმა 23 წლის მამაკაცი ჯერ იშვილა, მერე კი ცოლად გაჰყვა

ინდონეზიაში, სამხრეთ სუმატრაში, 64 წლის ქალმა 23 წლის მამაკაცი იშვილა, ერთი წლის შემდეგ კი შვილობილმა ქალს ხელი სთხოვა და ისინი დაქორწინდნენ.

მბა გამბრენგმა არდი ვარსა 2019 წელს იშვილა და მას შემდეგ ისინი ერთად ცხოვრობდნენ. ინდონეზიელი ქალბატონი ამტკიცებს, რომ შვილობილთან რაიმე რომანტიკული ურთიერთობის გაბმასა და მით უმეტეს მასზე გათხოვებას არ აპირებდა.

შვილად აყვანიდან დაახლოებით ერთ წელიწადში ქალმა ვარსუს განუცხადა, რომ მისთვის ცოლის შერთვის დრო იყო, ვინაიდან მისი სამი ასევე ნაშვილები გოგონა უკვე გათხოვდა. ამის პასუხად შვილობილმა გამბრენგს ხელი სთხოვა. ქალს გაუკვირდა, თუმცა დასთანხმდა.

ქორწილის წინ ვარსამ ქალს გამოსასყიდის სახით 100 ათასი ინდონეზიური რუპია გადაუხადა და ქალმა ეს თანხა აიღო.

საქორწინო ცერემონიაზე ახლად შეუღლებულები ერთმანეთს ეხვეოდნენ და იღიმებოდნენ.

ღვთისმსახურმა პროტესტის ნიშნად ეკლესია ბარად გადააქცია

არგენტინაში ევანგელისტური ეკლესია ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიის შემდეგ ბარის სახით გაიხსნა. ეს რელიგიურ თავყრილობებზე შეზღუდვების დაწესებისადმი პროტესტის ნიშნად გაკეთდა, რომელიც ძალაში რჩება, მიუხედავად სხვა აკრძალვების თანდათანობით შერბილებისა.

სან-ტაფეს პროვინციის ქალაქ სან-ლორენსოში მდებარე ეკლესიაში განთავსდა ბარისთვის განკუთვნილი მოწყობილობები, პასტორები ოფიციანტებივით გამოეწყვნენ და სინებით ბიბლიას დაატარებდნენ. აღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს მოწოდებას, რომ არგენტინაში სასულიერო პირებს რელიგიური მსახურების გამართვის უფლება ისევ მიეცეთ.

პასტორმა დანიელ კატანეომ, რომელიც ასევე ოფიციანტის ფორმაში იყო გამოწყობილი, განაცხადა, რომ „სამლოცველო ბარი“ ღვთისმსახურების აღსრულების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. მისი თქმით, ისინი ცდილობენ, საკუთარი რწმენა იქადაგონ, რაც მათი კონსტიტუციური უფლებაა.

– ბარები შეიძლება გაიხსნას, მაღაზიები შეიძლება გაიხსნას და მაშინ რატომ ხდება ჩვენი დისკრიმინაცია?! – აღშფოთება ვერ დამალა პასტორმა.

ლეოპარდის თავდასხმას ხუთი წლის ბავშვი ემსხვერპლა

ინდოეთის ყოფილი ჯამუს და ქაშმირის შტატის ტერიტორიაზე, კულგამის ოლქის სოფელ მანეგამში ლეოპარდის თავდასხმის შედეგად ხუთი წლის ბავშვი დაიღუპა.

მტაცებელი ცხოველი ხუთი წლის ბავშვს, სახელად უმარ ფარუკ ბაბას, დაესხა თავს. მან ბავშვი მძიმედ დააშავა და მისი ტყეში გატაცება სცადა, მაგრამ თვითმხილველების ჩარევის შედეგად ის იძულებული გახდა, მსხვერპლისთვის თავი დაენებებინა.

თვითმხილველებმა ბავშვი ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, საიდანაც უმარ ფარუკ ბაბა საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს, ის მიღებული ტრავმებისგან გარდაიცვალა.

ბავშვის დაღუპვის შემდეგ ადგილობრივებმა საპროტესტო აქცია გამართეს ბუნების დაცვის დეპარტამენტის წინააღმდეგ. მათ თანამდებობის პირები გულგრილობასა და უმოქმედობაში დაადანაშაულეს.

– ჩვენ მრავალჯერ ვაცნობეთ დეპარტამენტს სოფლის შემოგარენში ლეოპარდების გამოჩენის შესახებ, მაგრამ მათი მხრიდან სერიოზული გამოხმაურება არ მოჰყოლია და დღეს ჩვენ ამ ყველაფრის შედეგი ვიხილეთ, – განაცხადა მანეგამის მკვიდრმა ჯახანგირ ახმედმა, რომელმაც ასევე აღნიშნა, რომ ამ ინციდენტმა სოფლის მცხოვრებლებში პანიკა დათესა.

მამაკაცმა მრავალმილიონიანი ქონება თავის მხსნელ სპილოებს უანდერძა

ინდოეთის ბიხარის შტატის მცხოვრებმა მამაკაცმა თავისი ქონების ნახევარი უანდერძა ორ სპილოს, რომლებმაც ის დაღუპვას რამდენიმეჯერ გადაარჩინეს.

ახტარ იმამი მრავალი წელი სპილოების ნაკრძალში მუშაობდა. ის ამ ცხოველების დაცვის არაკომერციულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა.

იმამმა გადაწყვიტა, რომ მის მფლობელობაში მდებარე მიწა, რომელიც რამდენიმე ათეული მილიონი რუპია ღირს, ორ სპილოს – 15 წლის მოტისა და 20 წლის რანის დაუტოვოს.

მისი თქმით, სპილოებმა ის მრავალჯერ იხსნეს ადგილობრივი მონადირეების თავდასხმისგან.

– ერთხელ ბანდიტებმა ჩემი მოკვლა ცადეს. მაშინ სპილოებმა გადამარჩინეს. როდესაც პისტოლეტებით შეიარაღებული რამდენიმე პირი ჩემს ბინაში შემოჭრას შეეცადა, სპილომ გამაფრთხილა და განგაშის ატეხა მოვასწარი, – განაცხადა ინდოელმა.

– ცხოველები, ადამიანებისგან განსხვავებით, უფრო ერთგულები არიან. არ მინდა, რომ ჩემი გარდაცვალების შემდეგ ისინი დაობლდნენ, – აღნიშნა იმამმა.

მგზავრს მატარებლის ვაგონში დარჩა ტომარა, რომელშიც ოქრო ეწყო

შვეიცარიის ხელისუფლება ეძებს ადამიანს, რომელსაც მატარებელში 152 ათასი ფუნტი სტერლინგის ღირებულების სამკილოგრამიანი ოქროს ტომარა დარჩა.

რკინიგზის მონაკვეთზე, სენტ-გალენსა და ლუცერნს შორის, მატარებლის ვაგონში, ტომარა ოქროთი ერთ-ერთმა მგზავრმა 2019 წლის ოქტომბერში დატოვა. მისი პატრონის ძებნის თაობაზე განცხადება ადგილობრივმა ხელისუფლებამ მას შემდეგ გამოაქვეყნა, რაც მისი პოვნა შიდაგამოძიების გზით ვერ მოხერხდა. როგორ მოხერხდება იმ ადამიანების შემოწმება, რომლებიც მის მფლობელობაზე პრეტენზიას განაცხადებენ, უცნობია.

აღსანიშნავია, რომ გულმავიწყ მგზავრს ხუთი წელი აქვს იმისთვის, რომ დაკარგული განძი დაიბრუნოს.

უზარმაზარი გველისა და მამაკაცის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს

ამერიკის ფლორიდის შტატის ევერგლეიდსის რეგიონში გველებზე მონადირეს სისხლისმღვრელი ორთაბრძოლის გადატანა მოუხდა დაახლოებით 70-კილოგრამიან, ხუთმეტრიან პითონთან. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა გაავრცელა.

მაიკ კიმელი, რომელიც გველების დაჭერისა და ველური ცხოველების გადარჩენის სამსახურს ხელმძღვანელობს, უზარმაზარ პითონს გადააწყდა.

– მან უბრძოლველად დანებება არ ისურვა, – ხუმრობით განაცხადა გველებზე მონადირემ, – ბალახისა და სარეველების გამო თავდაპირველად მისი ზომები ვერ შევნიშნე, თუმცა ჩემ წინაშე ნამდვილი ურჩხული იყო. ვიცოდი, რომ უფრო ადვილი და უსაფრთხო მასზე თავის მხრიდან თავდასხმა იქნებოდა, მაგრამ თავი ვერ შევიკავე იმისგან, რომ მისთვის კუდში ჩამევლო ხელი და თვით ეშმაკთან არ შემესრულებინა ცეკვა.

სანამ კიმელი რეპტილიას კუდზე ეჭაჩებოდა, ის მის მაღალ ბალახში შეთრევას ცდილობდა და შედეგად უკბინა კიდეც.

– სულ ერთხელ, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა, – იხსენებს კიმელი, – მან საკმაოდ ღრმად ჩამასო კბილები წინამხარში, არტერია გახვრიტა და ნერვები დამიზიანა. გამიმართლა, რომ ხელზე ვერ შემომეხვია და მისგან თავის დაღწევა შევძელი. მიუხედავად დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვისა, მისი დამორჩილება მაინც შევძელი.

ამის შემდეგ მან სისხლდენის შესაჩერებლად და იარის გადასახვევად გველების დასაჭერად განკუთვნილი სპეციალური ტომარა გამოიყენა.

კიმელმა პითონი ნავამდე მიათრია, რის შემდეგაც რეპტილია დააძინა.

– არ მქონდა საკმარისი ზომის ტომარა იმისთვის, რომ გველის დაუძინებლად გადაყვანა მომეხერხებინა, – განმარტა გველების ექსპერტმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შვებულებაში გასული მამაკაცი მოულოდნელად გამდიდრდა

ამერიკის ქალაქ გრინაკრსის მკვიდრმა ჩრდილოეთ კაროლინას შტატში დასთან სტუმრობის დროს გადაწყვიტა, ლატარიის გათამაშებაში ეცადა ბედი და ჯეკპოტი მოხსნა.

შვებულებაში მყოფი მარკ ჰოტი ქალაქ როლიში თავის დას და მის მეუღლეს სტუმრობდა. მან მაღაზიაში პროდუქტების შესაძენად შეიარა და გადაწყვიტა, მომენტალური ლატარიის რამდენიმე ბილეთიც შეეძინა.

მას თვალში მოუვიდა 30 დოლარის ღირებულების ლატარიის ბილეთი, რომლის საპრიზო ფონდი 300 მილიონ დოლარს შეადგენდა.

– უკვე წასვლას ვაპირებდი, მაგრამ რაღაც მიზეზით, უცბად თავში აზრმა გამიელვა: „იცით რა, მე აქ დასასვენებლად ვიმყოფები და მე მას ვიყიდი, – ყვება ჰოტი.



დასთან სახლში მამაკაცმა ბილეთზე დამცავი ფენის გადაფხეკა დაიწყო და დაინახა 100 დოლარი. ამ დროს დამ ბილეთს დახედა და შენიშნა, რომ დამცავი შრე ბოლომდე არ იყო გადაფხეკილი.

– მან კიდევ გადაფხიკა და დამცავი შრის ქვეშიდან კიდევ სამი ნული გამოჩნდა, – განაცხადა მარკ ჰოტიმ, რომლის მოგებამ საბოლოოდ 100 ათასი დოლარი შეადგინა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

20 ივნისიდან მუზეუმები გაიხსნება

20 ივნისიდან საქართველოში ყველა მუზეუმი და მუზეუმ-ნაკრძალი ეტაპობრივად გაიხსნება.

ინფორმაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ გაავრცელა:

– ქვეყანაში შიდატურიზმის გახსნასთან დაკავშირებით, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 20 ივნისიდან დამთვალიერებლისთვის მუზეუმები და მუზეუმ-ნაკრძალები ეტაპობრივად გაიხსნება. პროცესი დადგენილი წესებისა და სტანდარტების დაცვით წარიმართება.

პირველ ეტაპზე გაიხსნება ის მუზეუმები, რომლებიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს აკმაყოფილებს.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომლობით, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავდა „ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციასთან დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სამუზეუმო, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული ღონისძიებებისთვის“.

შეიქმნა ახალი პროტოკოლი, რომლის მიხედვითაც მუზეუმები და მუზეუმ– ნაკრძალები ვიზიტორებისთვის ეტაპობრივად გაიხსნება.

საქართველოს მუზეუმები და მუზეუმ-ნაკრძალები დამთვალიერებელს შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებითა და უსაფრთხოების წესების დაცვით მიიღებენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

შენგელია და ცსკა ჯერ ადრეა

ბოლო დღეებში საუბრები თორნიკე შენგელიას მიმართ არ წყდება. მესამე ზაფხულია, მედია წერს, რომ ბასკონიისა და საქართველოს ნაკრების კაპიტანი თორნიკე შენგელია ცსკა-ში გადავა. ადრე ეს ხმები ნაკლებად სარწმუნო ჩანდა, ამჯერად კი თითქოს კონკრეტული დეტალებიც გამოაქვეყნა: მხარეებმა უკვე შეათანხმეს 3-წლიანი კონტრაქტი და ფორვარდის გამოსასყიდი თანხა – 1.5 მილიონი ევრო.

ეს ციფრები ცსკასთვის რეკორდული იქნება. მანამდე არმიელებმა რამუნას შიშკაუსკასის კონტრაქტის გამოსასყიდად ბერძნულ პანათინაიკოსს მილიონი ევრო გადაუხადეს, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე დადასტურებული არ არის. რუსულმა გაზეთმა „იზვესტიამ“ კლუბზე დაყრდნობით დაწერა, რომ ცსკა შენგელიას დამატებით დაინტერესებულია, მაგრამ გარიგებამდე ჯერ ადრეა.

აი, რას ამბობს კლუბის წარმომადგენელი ამ საკითხთან დაკავშირებით:

– ცსკა-ს თორნიკესადმი ინტერესი აქვს, მაგრამ საუბარი იმაზე, რომ მხარეებმა უკვე შეათანხმეს კონტრაქტი, ძალიან ადრეა. შესაძლოა ითქვას, ჯერ ყველაფერი საწყის სტადიაზეა.

თავად შენგელიას ჟურნალისტების ყურადღება მანამდეც არ აკლდა, მით უფრო ახლა, ამასთან, განსაახლებელი სეზონის წინ. მოგეხსენებათ, გუშინ ღამით ესპანეთის ჩემპიონატი განახლდა და ბასკური კლუბიც საქმეში ჩაერთო.

ცხადია, ჟურნალისტები ორივე საკითხით დაინტერესდნენ და ჩვენებურს ცსკაში გადასვლა არ დაუდასტურებია.

თორნიკე შენგელია:

– ცსკა-ს შესახებ ვერაფერს ვიტყვი. ამჟამად ბასკონიასთან კიდევ 2 წლით მაკავშირებს ხელშეკრულება. ახლა მთლიანად გუნდის წარმატებასა და ამ ტურნირზე ვარ კონცენტრირებული და სხვა არაფერზე ვფიქრობ. ფინალურ ტურნირს პოზიტიური განწყობით ვხვდებით. ვიცით, რომ მძიმე სიტუაციაში ვართ, როგორც მთლიანად საკალათბურთო სამყარო, ისე მთელი მსოფლიო. ახლა უნდა შევეგუოთ რეკომენდაციებს და მათი დაცვით გავაგრძელოთ ცხოვრება. ყოველდღიურად ვემზადებოდით ტურნირის განახლებისთვის და ეს დღეც დადგა. ჯგუფში ექვსივე გუნდი თანაბარი დონისაა და ჩვენ ბრძოლისთვის მზად ვართ. ვფიქრობ, საკმარისად მოვემზადეთ იმისთვის, რომ შეტევაში კარგად წარმოვაჩინოთ თავი.

ამასობაში შენგელია ესპანეთის ჩემპიონატის მარტის თვის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. მსოფლიო პანდემიის გამო ლიგა ენდესა სწორედ მარტში შეწყდა, თვის საუკეთესო მოთამაშე კი ახლა დაასახელეს და შენგელიას პრიზიც გადასცეს.

შეგახსენებთ, რომ მარტში რეგულარული ჩემპიონატის 2 ტური მოესწრო, რომელშიც შენგელია საშუალოდ 30.5 სარგებლიანობის კოეფიციენტს აგროვებდა. ქართველმა ფორვარდმა ერიკ გრინი (30) და ასკია ბუკერი (25.5) ჩამოიტოვა.

შენგელია ზედიზედ მეორედ გახდა თვის საუკეთესო კალათბურთელი – თებერვალშიც მან ყველას აჯობა, როცა ერთ-ერთ მატჩში ფუენლაბრადას წინააღმდეგ მარგი ქმედების საოცარი კოეფიციენტი აჩვენა – 44. მან იმ მატჩში ბასკონიის 32 ქულა და 13 მოხსნა მიითვალა. თოკოს ესპანეთის მიმდინარე ჩემპიონატში უკვე ოთხჯერ აქვს მოპოვებული თვის მვპ-ის წოდება.

იმასაც შეგახსენებთ, რომ კორონავირუსის პანდემიის დასრულების შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატი სხვა ფორმატით განახლდება: 12 გუნდი 2 ქვეჯგუფად არის გაყოფილი. ბრძოლას აგრძელებენ გიორგი შერმადინის იბეროსტარ ტენერიფე, ბექა ბურჯანაძის გრან კანარია და ნატურალიზებული ქართველი თად მაკფადენის ბურგოსი, ასევე შენგელიას თანაგუნდელი, საქართველოს ნაკრების წევრი მეტ ჯენინგსი.

ბითაძე იქსფაქტორია

რამდენიმეთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ განახლების პირასაა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია. ნბა-ს შეფობამ დაადგინა, რომ 30 ივლისს სეზონი ერთ ქალაქში, ორლანდოში გააგრძელოს. 30 კლუბიდან სეზონს 22 გააგრძელებს. რეგულარულ სეზონში გუნდები 8-8 მატჩს ითამაშებენ. გათვალისწინებულია მინი ტურნირი კონფერენციაში მე-8 საგზურისთვის.

განსაახლებელი სეზონის წინ ქართველი კალათბურთელი გოგა ბითაძე იმ კალათბურთელთა შორის მოხვდა, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი უნდა დაეკისროთ. ამერიკელმა მედიამ ჩვენებურს იქსფაქტორი უწოდა. მედიის აზრით, 20 წლის ქართველ ცენტრს პირველ ამერიკულ სეზონში თამაში თითქმის არ უწევს, მაგრამ იძულებითი პაუზა, შესაძლოა, მისთვის სარგებლიანი აღმოჩნდეს.

დიდი პაუზის შემდეგ გადამწყვეტ ეტაპს ყველა ერთნაირ ფორმაში ვერ შეხვდება. ვფიქრობთ, რომ იმ გუნდებს შორის, რომელთაც საკმაოდ შორს მიმავალი გეგმები უნდა ჰქონდეთ, ინდიანა პეისერსიცაა. ვიქტორ ოლადიპო მძიმე ტრავმის შემდეგ ლიდერის ფუნქციის დაბრუნებას ცდილობდა, პროცესი მცირედით გაიწელა, გასულ თვეებში კი მას მზადებისთვის საკმარისი დრო ჰქონდა. ამასთან, ოლადიპოს სასტარტო ხუთეულში მალკოლმ ბროგდონის, ტი ჯეი უორენის, მაილს ტერნერისა და დომანტას საბონისის სახით გაცილებით ნიჭიერი კალათბურთელები ახვევია, ვიდრე – გასულ წლებში.

პეისერსს სეზონის შეწყვეტამდე 39 მოგებითა და 26 მარცხით აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-5 ადგილი ეკავა. მიუხედავად დარჩენილი 8 მატჩისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გუნდი ფლეი ოფში ითამაშებს. ქომაგებს იმედი აქვთ, რომ ინდიანა გაცილებით მეტსაც მიაღწევს, რისთვისაც დამატებითი ენერგიაც დასჭირდება. ვფიქრობთ, რომ პეისერსს ჰყავს კიდევ 2 წევრი, რომელთაც სეზონის განახლების შემდეგ იქსფაქტორის როლის თამაში შეუძლიათ. ესენი აარონ ჰოლიდეი და გოგა ბითაძე არიან.

ინდიანა ბითაძეს გაცილებით მეტად უნდა ენდოს. აქამდე მას სათამაშო დრო იშვიათად ეძლეოდა, მაგრამ საერთო წარმატებისთვის აუცილებელია, რომ საბონისისა და ტერნერის შემდეგ სოლიდური როლი ერგოს. მიმდინარე სეზონში გოგამ 49 მატჩის ჩატარება მოასწრო და საშუალოდ 3.1 ქულას, 2.0 მოხსნასა და 0.7 დაფარებას აგროვებდა, თამაშიდან 47.3%-იანი სიზუსტით ესროდა, სამქულიანებში კი 16.7% ჰქონდა. უდავოა, რომ ბითაძეს დიდი და მრავალწლიანი პოტენციალი გააჩნია. კალათბურთელი, რომლის სიმაღლეც 2.11 მეტრია, ხოლო წონა 113 კილოგრამი, გამოირჩევა კარგი სროლით, შეუძლია სამწამიანი ზონის დაცვა და პასის გაცემაც. მართალია, თითქმის ყველა ასპექტში დახვეწა კიდევ სჭირდება, მაგრამ ლიგის ახალბედებისთვის ეს ჩვეული ამბავია.

ვფიქრობთ, რომ იძულებითი პაუზა გოგას მხოლოდ წაადგება. მან სეზონის განახლების შემდეგ 10-15 წუთი უნდა მიიღოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ პეისერსი აქცენტის გაკეთებას ტი ჯეი ლიფზე არ გადაწყვეტს. ნეიტ მაკმილანსა და კევინ პრიჩარდს ბითაძის პოტენციალის სჯერათ და მისი უფრო მეტად დატვირთვის არ უნდა შეეშინდეთ.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება

ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

საქართველო ევროპასა და მსოფლიოს უმასპინძლებს

სანამ ხელბურთში იძულებითი პაუზებია, საქართველოს ხელბურთის ფედერაციამ 2 დიდი ტურნირის მასპინძლობის უფლება მიიღო. 2021 წელს ჩვენს ქვეყანაში 17-წლამდელ გოგონათა ევროპის პირველობა გაიმართება, ხოლო 2022 წელს – 18-წლამდელ გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება. 2017 წელს თბილისში უკვე გამართა ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც 24 უძლიერესი გუნდი თამაშობდა. 2021 წლიდან ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ყველა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობა 32 გუნდამდე გაზარდა. ეს ნიშნავს რომ, 13 სათამაშო დღის განმავლობაში 4 სხვადახვა არენაზე 116 მატჩი გაიმართება.

საქართველოს ფედერაცია ამ ტურნირის ჩატარებას თბილისსა და ბათუმში გეგმავს. ზღვისპირეთში მალე მწყობრში უნდა იყოს საერთაშორისო სტანდარტების 2 არენა. მსოფლიო ჩემპიონატი 2022 წლის აგვისტოშია დაგეგმილი და საერთაშორისო ფედერაციამ საბოლოო გადაწყვეტილება მასპინძელი ქვეყნის შესახებ უკვე მიიღო. 32 მონაწილე ქვეყანა კონტინენტური ჩემპიონატების შემდეგ გაირკვევა.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატს, საკითხი აქაც გადაწყვეტილია და შეჯიბრების დროა 2021 წლის აგვისტო. ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატი ჩვენს ქვეყანაში უკვე 3-ჯერ გაიმართა: 2016 და 2018 წლებში – 18-წლამდელ ჭაბუკთა, ხოლო 2019 წელს 17-წლამდელ გოგონათა შორის. მსგავსი ფორმატის ტურნირებში, როგორც წესი, მონაწილეობს 8-დან 12 გუნდამდე. ზუსტი რაოდენობა და მონაწილე ქვეყნები წლეულს, შემოდგომაზე გაირკვევა.

აღსანიშნავია, რომ ორივე ტურნირზე ერთი თაობის, 2004-05 წლებში დაბადებული გოგონები ითამაშებენ. საქართველოს ხელბურთის ფედერაციის განცხადებით, ზუსტად ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ორივე შეჯიბრების მასპინძლობაზე შეიტანეს განაცხადი. მათი თქმით, მიზანი ქალთა ხელბურთში თაობათა უწყვეტობის უზრუნველყოფა და კონკურენტუნარიანი ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბებაა.

10-წლიანი პაუზის შემდეგ, 2015 წლიდან საერთაშორისო ასპარეზზე უკვე გამოვიდა ხელბურთელი გოგონების რამდენიმე თაობა, ხოლო აქ აღზრდილი რამდენიმე მოთამაშე წარმატებით ასპარეზობს ევროპულ კლუბებში. 2021 წელს კი, ქალთა ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება.

ფედერაციის განცხადებით, ამ 2 უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ტურნირისთვის მზადების განახლება აგვისტოში იგეგმება.

აგვისტოშივე უნდა დაიწყოს ერთობლივი ვარჯიში ყველა სხვა ასაკობრივმა ნაკრებმაც. ჭაბუკთა ორი ტურნირი – 20 და 18-წლამდელთა გუნდის ევროპის ჩემპიონატები ევროპის ხელბურთის ფედერაციამ ზაფხულიდან იანვარში გადაიტანა. გაისად ევროპირველობა უწევს გოგონათა 19-წლამდელთა ნაკრებსაც და ასევე – ჭაბუკთა ახალ თაობას, 2004-05 წლებში დაბადებულებს. ნაკრების ყველა კანდიდატი აქამდე შინ ინდივიდუალური გეგმის მიხედვით ემზადებოდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

16 ივნისი

ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა

გლადბახი-ვოლფსბურგი	3:0
ვერდერი-ბაიერნი	0:1
უნიონი-პადერბორნი	1:0
ფრაიბურგი-ჰერტა	2:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	32	24	4	4	93-31	76
2.დორტმუნდი	31	20	6	5	82-35	66
3.ლაიფციგი	31	17	11	3	77-32	62
4.გლადბახი	32	18	5	9	61-38	59
5.ლევერკუზენი	31	17	6	8	57-41	57
6.ვოლფსბურგი	32	12	10	10	44-41	46
7.ფრაიბურგი	32	12	9	11	43-44	45
8.ჰოფენჰაიმი	31	12	7	12	42-52	43
9.შალკე	31	9	12	10	36-48	39
10.აინტრახტი	31	11	5	15	53-56	38
11.ჰერტა	32	10	8	14	45-57	38
12.უნიონი	32	11	5	16	38-54	38
13.კიოლნი	31	10	5	16	48-59	35
14.აუგსბურგი	31	9	8	14	42-57	35
15.მაინცი	31	9	4	18	39-63	31
16.ფორტუნა	31	6	10	15	33-61	28
17.ვერდერი	32	7	7	18	35-65	28
18.პადერბორნი	32	4	8	20	34-68	20

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ვისბადენი-ნიურნბერგი	0:6
ჰამბურგი-ოსნაბრიუკი	1:1
ფიურტი-ჰაიდენჰაიმი	0:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვილარიალი-მალიორკა	1:0
ხეტაფე-ესპანიოლი	0:0
ბარსელონა-ლეგანესი	2:0

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	29	20	4	5	69-31	64
2.რეალი	28	17	8	3	52-20	59
3.სევილია	29	14	9	6	42-30	51
4.სოსიედადი	28	14	5	9	46-34	47
5.ხეტაფე	29	13	8	8	38-27	47
6.ატლეტიკო	28	11	13	4	32-22	46
7.ვილიარეალი	29	13	5	11	46-38	44
8.ვალენსია	28	11	10	7	39-40	43
9.გრანადა	29	12	6	11	37-35	42
10.ბილბაო	28	9	11	8	30-24	38
11.ოსასუნა	28	8	11	9	35-39	35
12.ლევანტე	29	10	5	14	34-42	35
13.ბეტისი	29	8	10	11	40-47	34
14.ალავესი	28	8	8	12	29-39	32
15.ვალიადოლიდი	28	7	11	10	25-34	32
16.ეიბარი	28	7	6	15	28-44	27
17.სელტა	28	5	11	12	22-35	26
18.მალიორკა	29	7	4	18	28-49	25
19.ესპანიოლი	29	5	9	15	25-46	24
20.ლეგანესი	29	5	8	16	22-43	23

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-სარაგოსა	1:3
ხირონა-რასინგი	0:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

სანტა კლარა-პორტიმორენშე	1:1
ავიში-პორტუ	0:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-ალტახი	1:1
სტ.პოლენი-მატერსბურგი	1:0
აუსტრია-ტიროლი	1:0

დანია. სუპერლიგა

ჰორსენსი-ესბიერგი	2:2
რანდერსი-ჰობრო	4:0

ნორვეგია. ელიტსერია

ვიკინგი-ბოდო გლიმდტი	2:4
ალესუნდი-მიოლდე	1:4
რუსენბორგი-კრისტიანსუნდი	0:0
სტაბეკი-მონდალენი	0:0
ოდ გრელანდი-სანდერფიორდი	1:2
სარპსბორგი-ვალერენგა	0:1

ჯოსვორდი ბ



შვეულად: 1. ფრანგი დრამატურგი „სევილიელი დალაქის“ ავტორი; 2. უსქესო, ვეგეტატიური გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 3. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 4. თვითმფრინავების სადგომი; 5. რაიონული ცენტრი კახეთში; 6. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 11. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 13. მაღალხარისხოვანი შალის საკოსტუმე ქსოვილი; 14. დანიელი მეზღაპრე; 15. საგნების, მოვლენების ურთიერთკავშირი, ურთიერთდამოკიდებულება; 17. საგანგებოდ გამოყვანილი, შებოლილი ღორის ხორცი; 18. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 19. ფულის ერთეული ალბანეთში.

თარაზულად: 7. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 8. ფოტოხელოვნების ფუძემდებელი საქართველოში; 9. ბელგიური ავიაკომპანია; 10. კორიდის ცხენიანი მონაწილე; 12. შვეიცარიაში გამოყვანილი, სამაშველო საქმისთვის განკუთვნილი, დიდი ტანის ძაღლი; 14. მწვავე სუნის მქონე, მძაფრი აირი, ნიშადურის სპირტი; 16. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 18. ქვეყნის ყველა მდინარის რესურსების მონაცემთა სისტემური კრებული; 20. სუნამოების მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 21. ტერიტორიული ერთეული თურქეთში; 22. მოკლებეწვიანი მონადირის ძაღლის ჯიში; 23. ხმელთაშუა ზღვისპირა კურორტი საფრანგეთში; 24. პოპულარული კაფე-რესტორანი ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯროსვორდების პასუხები:

ჯროსვორდი ა

შვეულად: 1. ლაქტოზა; 2. ჰიპოთეზა; 3. საფარა; 4. ტუნგი; 5. გოზინაყი; 8. სავოიარი; 12. დანი; 13. ჰონოლულუ; 14. ისრიმი; 16. მარიჯანი; 18. დოსიე; 20. ოქრო.

თარაზულად: 6. საფერავი; 7. წყალტუბო; 8. სუდოკუ; 9. შონია; 10. მეცენატი; 11. შვიდეული; 15. ზომერჰოისი; 17. ნიკორა; 19. მონოციკლი; 21. ქუთაისი; 22. ბუდაპეშტი; 23. როლექსი.

ჯროსვორდი ბ

შვეულად: 1. ვაფლი; 2. სააბი; 3. ვიადუკი; 4. ბობი; 5. რომი; 6. ანარქია; 9. ლეგიტიმაცია; 10. არმანიაკი; 11. ყარაგიოზი; 14. სამბო; 16. ეგერი; 18. კვაზარი; 20. მარჩილი; 23. მილი; 24. პირსი; 25. კამიუ; 26. ვიში.

თარაზულად: 7. ვილსდორფი; 8. ლაფონტენი; 12. დუვრი; 13. ბანქო; 15. უფიცა; 17. მორჩილაძე; 19. უნაბი; 21. ბანკი; 22. გზირი; 27. კრაისლერი; 28. ამაშუკელი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

18 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 3.0404
- ევრო — 3.4177
- დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8187
- 100 რუსული რუბლი — 4.3638

ამინდის პროგნოზი 18 ივნისისათვის

ჩელსი კრიშტიანო რონალდუში 120 მილიონს იხდის

ინგლისურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლონდონის ჩელსი მზად არის, კრიშტიანო რონალდუს ტრანსფერში 120 მილიონი გადაიხადოს.

ჩელსი ზაფხულში სერიოზულად აპირებს გაძლიერებას და მისი ერთ-ერთი მთავარი სამიზნე კრიშტიანო რონალდუ იქნება. რონალდუს იუვენტუსიდან წასვლაზე ხშირად საუბრობენ, თუმცა თვითონ ფეხბურთელს ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია. იუვენტუსთან კონტრაქტი რონალდუს 2023 წლამდე აქვს.

ობამიანგი: „პრემიერ ლიგაში ტრავმები მოიმატებს“

არსენალის ფორვარდმა პიერ ემერიკ ობამიანგმა განაცხადა, რომ პრემიერ ლიგაში ტრავმები მოიმატებს, რადგან დიდი პაუზის შემდეგ ბევრი ფეხბურთელი ბოლომდე ოპტიმალურ ფორმაში არ იქნება.

არსენალის ფორვარდის აზრით, ეს დამატებით ტრავმებს გამოიწვევს:

– როდესაც ფეხბურთელი ოპტიმალურ კონდიციაში არ იმყოფება, ეს ყოველთვის საშიშია, რადგან ამ დროს ტრავმის მიღება უფრო ადვილია. ვფიქრობ, პრემიერ ლიგაში ტრავმების რაოდენობა მოიმატებს.

კიკე სეტიენი: „ლეგანესთან რთული შეხვედრა გამოდგა“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა კიკე სეტიენმა ლეგანესთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს მატჩი მისი გუნდისთვის საკმაოდ რთული გამოდგა, რადგან მეტოქე თავს კარგად იცავდა.

სეტიენის აზრით, ბარსელონა იდეალური ფორმისგან ჯერ შორს არის, თუმცა მუშაობას აგრძელებს:

– ბურთთან ჯერ ისე კარგად ვერ ვმუშაობთ, როგორც საჭიროა, ამიტომ სივრცეების პოვნა გვიჭირდა, თან მეტოქე თავს კარგად იცავდა. ანსუ ფატიმ შესანიშნავი გოლი გაიტანა და მისი იმედი ყოველთვის გვაქვს. მომავალში ის კიდევ უფრო ხშირად ითამაშებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ბაიერნი ბუნდესლიგის ჩემპიონი გახდა

მიუნხენის ბაიერნმა ზედიზედ მერვედ მოიპოვა ბუნდესლიგის ჩემპიონის ტიტული. ბავარიელებმა გადამწყვეტ უმაყურებლო ტრიბუნების წინაშე სტუმრად 1:0 დაამარცხეს ბრემენის ვერდერი. ჰანს-დიტერ ფლიკის გუნდი ტრიუმფალურ სვლას განაგრძობს – რაც პანდემიით დაბრკოლებულმა გერმანიამ ბუნდესლიგა განაახლა, ბაიერნმა ყველა (7) თამაში მოიგო.

ნაადრევი ჩემპიონობის ბედი რობერტ ლევანდოვსკიმ გადაწყვიტა. მიმდინარე სეზონში ეს პოლონელის 46-ე გოლი ყველა ტურნირზე. ვეტერან პოლონელს ბუნდესლიგის მიმდინარე ჩემპიონატში უკვე 31 გოლი აქვს გატანილი. ეს კი ახალი რეკორდის მაუწყებელია.

გარდა იმისა, რომ ეს პირადი რეკორდია, ლევანდოვსკი ამ მაჩვენებლით მეხუთე ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ბუნდესლიგაში 30– გოლიან ნიშნულს გადააბიჯა. სხვადასხვა დროს ეს ზღვარი ლოთარ ემირიხმა, გერდ მიულერმა, დიტერ მიულერმა და პიერ-ემირიკ ობამეიანგმა გადალახეს.

ვერდერთან გამარჯვების შემდეგ გახარებული იყო ბავარიელთა თავკაცი ჰანს-დიტერ ფლიკი:

– ქათინაურები ჩემს გუნდს! ის, თუ როგორ ვთამაშობდით ჩვენ ბოლო თვეების განმავლობაში, არის მონდომება, ხასიათი, თამაშისაგან სიამოვნების მიღება, გუნდური სული... დიახ, ჩვენ მსოფლიო კლასის მეკარე გვყავს, მეკარის თამაში კი ფეხბურთის ნაწილია. მას მერე, რაც უმცირესობაში დავრჩით, ბრემენელები გამოფხიზლდნენ და, უნდა ითქვას, რომ მათ ამ პერიოდში კარგად ითამაშეს, მაგრამ მაინც ჩვენ გავიმარჯვეთ. ისიც უნდა ითქვას, რომ მარტო მოგება შეუძლებელია, იმარჯვებს მთელი გუნდი, ჩვენ კი, არც მეტი, არც ნაკლები, ბაიერნი ვართ! სწორედ ამიტომ დასახული მიზანი მუდამ უმაღლესია. პირველი ნაბიჯი გადავდგით. შემდეგი ნაბიჯი გერმანიის თასია. ჩემპიონთა ლიგის დაგეგმვა კი არ შეიძლება. წინ მხოლოდ ერთი შეხვედრა გველის და შესაფერის ფორმაში ყოფნა გვმართებს.

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

ასტროპროგნოზი

18 ივნისისათვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. დილით თქვენი გეგმების რეალიზებას ადვილად შეძლებთ. საღამოს არასასურველი ტენდენციები მძლავრობს. **კურო** – დიდი ყურადღება მიაქციეთ ჯანსაღ კვებას. იყავით წინდახედული და დაპირება შეასრულეთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობის მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. დღეს ყოველგვარი კომერციული გარიგება გამორიცხეთ. **კირჩხიბი** – წვრილმანი საოჯახო პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. ბავშვებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ლომი** – წარმატება მხოლოდ თქვენს სიმშვიდესა და თავშეკავებაზეა დამოკიდებული. იყავით მამაცი. **ქალწული** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა იდეალურად გამოგივათ. ერიდეთ კამათს ახლობელთან. **სასწორი** – წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში მუშაობისას. საღამო მყუდრო გარემოში გაატარეთ. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ სტუმრების გამასპინძლება. **მშვილდოსანი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. დაპირებების გაცემისგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – გლობალურ მიზნებს ნუ დაისახავთ. დღეს მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდით. მოვლენები მოულოდნელად იცვლება. **მერწყული** – ფინანსებს გაუფრთხილდით. დიდია გაუთვალისწინებელი ხარჯების ალბათობა. **თევზები** – ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მოდი, ლაშქრობაში წავიდეთ...

– არ მინდა, უკვე ორჯერ ვიყავი ლაშქრობაში!

●●●

სასადილოში ამერიკელი, ჩინელი და სომეხი ერთად სადილობს. სამივეს წვნიანში ბუზი ჩავარდა.

ამერიკელმა სკანდალი მოაწყო.

ჩინელმა შეჭამა.

სომეხმა კი თავისი ბუზი ჩინელს მიყიდა.

●●●

ქმარი სამზარეულოში მოფუსფუსე ცოლს გაღიზიანებული ეუბნება:

– ისევ ქათამი! მალე, ალბათ, ბუმბულები გამომივა!

– ძვირფასო, რა გინდა, რომ საქონლის ხორცი მოგიმზადო და რქები ამოგივიდეს?

●●●

ექიმს ეკითხებიან:

– რისგან დაიღუპა თქვენი პაციენტი?

– სიბერისგან.

– კი მაგრამ, ის ხომ მანქანის ქვეშ მოყვა...

– ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, გვერდზე გადახტომას მოასწრებდა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

„ეს მე ვარ – ფიროსმანი გერმანულად ითარგმნა

შორენა ლებანიძის ნაწარმოები „ეს მე ვარ – ფიროსმანი“ გერმანულ ენაზე ითარგმნა.

პროექტი მწერალთა სახლის მხარდაჭერით განხორციელდა. შორენა ლებანიძის ნაწარმოები ერთ-ერთმა გამომცემლობამ უკვე გამოსცა.

„ეს მე ვარ – ფიროსმანი“ ქართულიდან გერმანულ ენაზე ლია ვიტეკმა თარგმნა.

ლელა რაზიკაშვილი: „ღონისძიებები აღარ შეიძლებაო და არც „ვაჟაობა“ იქნება ალბათ“

აცხადებს ვაჟა ფშაველას შთამომავალი ლელა რაზიკაშვილი და 14 ივლისს დაარსებული ვაჟა ფშაველას სახალხო დღესასწაულის „ვაჟაობის“ ჩატარების საკითხს ეხმაურება:

– ახლა არის ზუსტად ამის დრო!

ღონისძიებები აღარ შეიძლებაო და არც „ვაჟაობა“ იქნება ალბათ...

მედიას შეუძლია, ამოავსოს ვაჟას დღესასწაულის გარეშე დარჩენილი ზაფხულის სიჩუმე, ვაჟას დაბადების თარიღი იზეიმოს თავად და გვაზეიმოს ჩვენც!

ისე, ამ დროში სხვაგვარად დავასათაურებდი ამ ღონისძიებას: „საქართველო კითხულობს ვაჟას“ – ასე აჯობებს კორონობაში.

დავით პაქსაშვილი საავადმყოფოდან გაწერეს



გადაცემის „ცოდნა ფულია“ გამარჯვებული, პოეტი და ჰიპ-ჰოპ არტისტი დავით პაქსაშვილი, ურთულესი ოპერაციების ჩატარების შემდეგ სახლში გაწერეს.

მესამე სართულიდან გადავარდნილი ახალგაზრდა რეაბილიტაციის რთულ და ხანგრძლივ ეტაპს იწყებს და საზოგადოების ფინანსური დახმარება ესაჭიროება.

უახლესი ინფორმაცია მის შესახებ ნიკოლოზ ვერძეულმა გაავრცელა:

– წამოვიყვანეთ სახლში უკვე და დავიწყეთ რეაბილიტაციის რთული პერიოდი. კარგად მიდის ყველაფერი, ახლა ექთნებს ვეძებთ, რომ იარონ ხოლმე და გადახვევები და რაღაცები გაუკეთონ.

ჩვეულებრივად აზროვნებს, ჩვეულებრივად ვკონტაქტობთ, ვითომც არაფერი. ყველაფერი მიდის კარგად და ძალიან დიდი მადლობა ყველას.

გიგა კვენეტაძე ქართულ ჟურნალისტიკას აკრიტიკებს

მომღერალი და კომპოზიტორი გიგა კვენეტაძე დღევანდელ ქართულ ჟურნალისტიკას არაკორექტულს, უსამართლოსა და ცრუ წყაროებზე დაყრდნობილს უწოდებს:

– 5 წელი ვსწავლობდი უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე და ყოველთვის მასწავლიდნენ, რომ ჟურნალისტი უნდა იყოს კორექტული, სამართლიანი და მის მიერ მოპოვებული მასალა უნდა ეყრდნობოდეს ოფიციალურ წყაროებს.

დღევანდელი ქართული ჟურნალისტიკა!

90% არაკორექტული!

90% უსამართლო!

90% ცრუ წყაროებზე დაყრდნობით გაფეიკებული ინფორმაციის გამავრცელებელი!

ხალხო და სახელმწიფოვ, შემთხვევით ამ ყველაფერს კანონიერი რეგულაცია ხომ არ სჭირდება?

წყალტუბოში ოტია იოსელიანის ბიუსტი გაიხსნა

მწერლის ოტია იოსელიანის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით წყალტუბოში მისი ბიუსტი საზეიმოდ გაიხსნა. ბიუსტის გახსნას, მწერლის ოჯახის წევრების გარდა, მისი კოლეგები და ადგილობრივი მცხოვრებლები ესწრებოდნენ.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით წყალტუბოში ჩავიდა ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი გიორგი კეკელიძე. მისი თქმით, ეროვნული ბიბლიოთეკა ოტიას მარანში მალე ღვინის ბიბლიოთეკას მოაწყობს.

– ერთხელ ეძლევა ადამიანს სიცოცხლე და ყველაფერი უნდა გააკეთო იმისთვის, რომ შენი გუნებისად, რწმენისად, სიმართლისად იცხოვრო, სხვანაირად ცხოვრება ცხოვრება არაა, – ამბობდა მწერალი.

პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი და კინოსცენარისტი, 10-მდე პიესის ავტორი მკითხველში განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს. „ადამიანი იბადება ერთხელ“, „როცა სიყვარული მოვა“, „სანამ ურემი გადაბრუნდება“, „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ არაერთი თეატრის სცენაზე დაიდგა. სწორედ „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ იქცა მწერლის შემოქმედების სავიზიტო ბარათად.

ოტია იოსელიანმა იმუშავა კინოსცენარებზე „ჩქარი მატარებელი“, „მალე გაზაფხული მოვა“, „თეთრი ქალიშვილი“...

იუბილარი შემოქმედის თხზულებები არაერთ ენაზეა ნათარგმნი. იგი ინტენსიურად მუშაობდა საბავშვო მწერლობის დარგში. „დაჩის ზღაპრები“ თავის შვილს, დაჩის მიუძღვნა და მისი სავიზიტო ბარათიც გახდა. ესაა ბავშვისთვის გასაგებ ენაზე დაწერილი დედამიწის, ზღვის, ვარსკვლავების, მთვარისა და მზის არსებობის, შექმნის, სილამაზის საჭიროებისა და მარადიულობის ზღაპარი. ნაწარმოები უამრავ ენაზეა ნათარგმნი და გამოცემული.

ოტია იოსელიანის სახელის უკვდავსაყოფად წყალტუბოში ოტია იოსელიანის სახელობის საკვირაო სკოლა გაიხსნა.

მწერალი 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი, ანდერძის თანახმად, სოფელ გვიშტიბში, საკუთარი სახლის ეზოში დაკრძალეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. წიგნის მაღაზიების ქსელის მფლობელი, საგამომცემლო ფირმა საქართველოში; 2. ხევსურული ტანსაცმელი; 3. კომპიუტერული მიკროსქემებისა და პროცესორების მწარმოებელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 4. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 5. თეთრეულისა და ტანსაცმლის კარადა; 8. მეთუნეობის ხელოვნება; 12. ფრანგი მევიოლინე, საერთაშორისო კონკურსის დამფუძნებელი; 13. რაიმეს ცვლის, განვითარების პროცესი; 14. აფრიკული ცხოველი; 16. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 18. ყვავილის ცენტრალური ნაწილი; 20. ბრიტანული ტაქსი.

თარაზულად: 6. ისტორიული რკინიგზის ვაგზალი ლონდონში; 7. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 8. ურუგვაის ნაკრებისა და პარიზის „პ.ს.ჟ.“-ს ფეხბურთელი; 9. აეროპორტი პარიზში; 10. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 11. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 15. რუსეთში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 17. თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 19. ბულიონში მოხარშული დაკეპილი ხორცის გუნდა; 21. ძმარმჟავას მარილი; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 23. საბერძნეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა